გაუმარჯოს 1 მაისს—მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ერთიანობისა და ძმობის დღეს!

# მოგილოცავთ პირველ მაისს!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ— ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი. № 104 (1266) | ოთხშაბათი, 1 მაისი, 1963 წ. | ფასი 2 კაპ.

## ბრძანება სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრისა

1963 წლის 1 მაისი № 99 ქ. მოსკოვი

ამხანაგო ჯარისკაცებო და მატროსებო, სერჟანტებო და ზემდეგებო!

ამხანაგო ოფიცრებო, გენერლებო და ადმირალებო!

დღეს საბჭოთა ხალხი და მისი მამაცი შეიარაღებული ძალები დღესასწაულობენ პირველ მაისს — ყველა ქვეყნის მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს.

ჩვენი სამშობლო ამ ღირსშესანიშნავ დღესასწაულს აღნიშნავს იმ ვითარებაში, როცა მთელი ხალხი იბრძვის სკკპ ისტორიული XXII ყრილობის მიერ დასახული კომუნიზმის მშენებლობის დიდებული პროგრამის განხორციელებისათვის. საბჭოთა კავშირის ხალხები მშობლიური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით უმაღლესი ენთუზიაზმით აშენებენ ინდუსტრიის სულ ახალ და ახალ გიგანტებს, თავდადებით იბრძვიან მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის პროდუქტების სიუხვისათვის, ჭეშმარიტად ბუმბერაზულ ნაბიჯებს დგამენ მეცნიერებისა და ტექნიკის განვითარებაში.

1 მაისის დღეს შემოქმედებითი ძალებით აღსავსენი ეგებებიან სოციალისტური თანამეგობრობის ყველა ქვეყნის ხალხები.

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა, რომლებიც მშრომელთა ნებასა და საარსებო ინტერესებს გამოხატავენ, მტკიცედ და თანმიმდევრულად ახორციელებენ მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, დაუცხრომლად იბრძვიან საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, იმისათვის, რომ მოლაპარაკების გზით გადაიჭრას სადავო საკითხები.

ამავე დროს ამერიკის შეერთებული შტატების იმპერიალისტები და მათი მოკავშირეები ყოველნაირად უშლიან ხელს საბჭოთა კავშირის მშვიდობისმოყვარულ წინადადებათა განხორციელებას, აძლიერებენ გამალებულ შეიარაღებას, ადგენენ მსოფლიო თერმობირთვული ომის ატეხის გიჟურ გეგმებს.

საბჭოთა სახელმწიფო, რომელიც ჩვენი სამშობლოსა და სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების უშიშროების ინტერესებით ხელმძღვანელობს, დაუცხრომლად ზრუნავს ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის განმტკიცებისათვის, მისი სამხედრო ძლიერების გადიდებისათვის.

საბჭოთა შეიარაღებული ძალები, რომლებსაც ბრძენი ლენინური პარტია ხელმძღვანელობს და რომლებიც ხალხის უსაზღვრო მხარდაჭერით სარგებლობენ, მუდამ მზად არიან ბრძოლისათვის და უნარი შესწევთ სოციალისტური ქვეყნების არმიებთან ერთად გაანადგურონ ყოველი აგრესორი, თუ იგი გაბედავს თავს დაესხას ჩვენს სამშობლოს და მოძმე სოციალისტურ ქვეყნებს.

არმიისა და ფლოტის მეომრებო! მოგესალმებით და მოგილოცავთ 1 მაისის დღესასწაულს და გისურვებთ ახალ წარმატებებს თქვენს პასუხსაგებ და საპატიო შრომაში. დაუცხრომლად დაეუფლეთ პოლიტიკურ და სამხედრო ცოდნას, ბეჯითად შეისწავლეთ საბრძოლო ტექნიკა და იარაღი, ყოველი ღონისძიებით განამტკიცეთ მხედრული დისციპლინა! იყავით მუდამ ფხიზელნი და მუდამ მზად იმისათვის, რომ პირნათლად და ღირსეულად შეასრულოთ თქვენი ვალი სამშობლოს წინაშე!

მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის აღსანიშნავად ვბრძანებ:

დღეს, 1 მაისს, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქ მოსკოვში, მოკავშირე რესპუბლიკების დედაქალაქებში და გმირ ქალაქებში მიცემულ იქნას სალუტი ოცი საარტილერიო ზალპით.

გაუმარჯოს 1 მაისს — მშრომელთა საერთაშორისო სოლიდარობის დღეს, ყველა ქვეყნის მუშათა ერთიანობისა და ძმობის დღეს!

დიდება დიდ საბჭოთა ხალხს და მის მამაც შეიარაღებულ ძალებს!

გაუმარჯოს ლენინის მიერ შექმნილ სახელოვან საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიას — საბჭოთა ხალხის შთამაგონებელ და ხელმძღვანელ ძალას კომუნიზმის აშენებისათვის ბრძოლაში!

სსრ კავშირის თავდაცვის მინისტრი
საბჭოთა კავშირის მარშალი
რ. მალინოვსკი.

## ფიდელ კასტრო მოსკოვში

### ფიდელ კასტრო რუსი სსრ კავშირის დიდ თეატრში

29 აპრილს საღამოს კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველმა მდივანმა, კუბის რესპუბლიკის რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრო რუსმა და მისმა თანმხლებმა პირებმა, აგრეთვე კუბის რესპუბლიკის ელჩმა სსრ კავშირში კარლოს ოლივარეს სანჩესმა მეუღლითურთ ნახეს სსრ კავშირის დიდ თეატრში ბალეტი „გედის ტბა".

კუბის რევოლუციის ბელადთან ერთად კუბის რესპუბლიკისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ცენტრალურ ლოჟაში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე, ნ. ს. ხრუშჩოვი მეუღლითურთ, ამხანაგები ლ. ი. ბრეჟნევი, ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრები ა. ა. გრომიკო, რ. ი. მალინოვსკი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, საბჭოთა კავშირის ელჩი კუბის რესპუბლიკაში ა. ი. ალექსეევი.

ფეხზე მდგომი მაყურებლები მქუხარე ოვაციითა და მისასალმებელი შეძახილებით შეხვდნენ კუბის ეროვნულ გმირსა და საბჭოთა ხელმძღვანელებს, რომლებიც თეატრში შემოვიდნენ. (საკდესი).

### აგარაკზე მოსკოვის მახლობლად

30 აპრილს დილით კუბის რესპუბლიკის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის პირველი მდივანი და რევოლუციური მთავრობის პრემიერ-მინისტრი ფიდელ კასტრო რუსი და მისი თანმხლები პირნი კრემლის რეზიდენციიდან აგარაკზე გაემგზავრნენ მოსკოვის მახლობლად, სადაც ძვირფასი კუბელი მეგობრები მიიწვია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ხრუშჩოვმა.

მშვენიერი მზიანი ამინდი იყო მოსკოვის მიდამოებში.

გულთბილად შეხვდა ნ. ს. ხრუშჩოვი ძვირფას სტუმრებს. ნ. ს. ხრუშჩოვს, ფიდელ კასტროს, ნიკიტა სერგის-ძის ოჯახის წევრებს შორის გაცხოველებული საუბარი გაიმართა. კუბის ეროვნულმა გმირმა და მისმა თანამგზავრებმა სიამოვნებით გაისეირნეს ტყეში, ისინი აღტაცებული არიან მოსკოვის მიდამოების გაზაფხულის ბუნებით. ნინო პეტრეს ასულმა და ნიკიტა სერგის-ძემ მიიწვიეს ფიდელ კასტრო ესადილა მათთან ერთად შინაურთა წრეში.

ფიდელ კასტრომ და სხვა კუბელმა მეგობრებმა თითქმის მთელი დღე გაატარეს ნ. ს. ხრუშჩოვის აგარაკზე. იქვე იყვნენ: სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ლ. ი. ბრეჟნევი მეუღლითურთ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო მეუღლითურთ, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი, საბჭოთა კავშირის ელჩი კუბის რესპუბლიკაში ა. ი. ალექსეევი, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. ს. ბირიუზოვი, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ლათინური ამერიკის ქვეყნების განყოფილების გამგე ვ. ი. ბაზიკინი. (საკდესი).

### მიესალმებიან კუბის ეროვნულ გმირს

მოსკოვი, 30 აპრილი. (საკდესის სპეც კორ.). დღეს ნაშუადღევს ფიდელ კასტრო და ნ. ს. ხრუშჩოვი, აგრეთვე სხვა კუბელი სტუმრები ეწვივნენ ახალ უნივერმაღს „მოსკოვს" ლენინის პროსპექტზე. მათ მქუხარე ტაშით შეხვდნენ მაღაზიის მუშაკები და მოსკოველები, რომლებიც აქ სასყიდლებზე იყვნენ მოსული.

ფიდელ კასტრო და ნ. ს. ხრუშჩოვი იყვნენ ამ დიდი მაღაზიის სავაჭრო დარბაზებში, დაათვალიერეს მრავალფეროვანი საქონელი.

უნივერმაღის დათვალიერების დროს ფიდელ კასტროსა და ნ. ს. ხრუშჩოვს ახლდნენ — მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ვ. ფ. პრომისლოვი და პარტიის მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი ნ. გ. ეგორიჩევი.

შემდეგ ფიდელ კასტრო და ნ. ს. ხრუშჩოვი, აგრეთვე სხვა კუბელი მეგობრები დედაქალაქის პროლეტართა რაიონში წავიდნენ. ქუჩებში გამოსული ათასობით ადამიანი გულთბილად შეხვდა და მიესალმა საპატიო სტუმარსა და საბჭოთა მთავრობის მეთაურს.

ფიდელ კასტრო და ნ. ს. ხრუშჩოვი ლიხაჩოვის სახელობის საავტომობილო ქარხნის კულტურის სასახლეში დაესწრნენ ხელოვნების ოსტატთა და მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეთა სადღესასწაულო კონცერტს.




ფოტოპლაკატი ი. კალაძისა და ვლ. გინზბურგისა.

## მიღებულია ქართული ანოლი

### რუსთაველ ქიმიკოსთა ახალი გამარჯვება

კაპროლაქტამის საწარმოს მშენებლობაზე 29 აპრილს განსაკუთრებული გამოცოცხლება იყო. ჯერ კიდევ დღის პირველ ნახევარში, უაღრესად რთული საგამოცდო და აწყობითი სამუშაოების შესრულების შემდეგ, უნდა მიეღოთ კაპროლაქტამისათვის საჭირო ერთ-ერთი კომპონენტი — ანოლი.

თითქმის ყველაფერი მზად იყო და ქიმიკოსებიც სიხარულით ელოდებოდნენ ამ ახალ პროდუქციას, მაგრამ მტუმბავ მექანიზმს დეფექტი აღმოაჩნდა. მემონტაჟეები და ქიმიკოსები ერთიანი ძალით შეუდგნენ ამ დეფექტის გასწორებას. სპეციალისტებმა გაიანგარიშეს, რომ ტუმბოს შეცვლისათვის და პროდუქციის მიღებისათვის საჭირო იქნებოდა კიდევ რამდენიმე საათი.

ღამის 12 საათზე თითქოს ყველაფერი გაკეთდა, მაგრამ თავი იჩინა ახალმა ტექნიკურმა სიძნელემ. მშენებლები და მემონტაჟეები არც ამას შეუშინდნენ და დაჟინებით მოითხოვდნენ მუშაობის განგრძობას იმ ვარაუდით, რომ 30 აპრილს რაც უნდა დასჯდომოდათ, მიეღოთ ქართული ანოლი.

ბეჯითმა შემართებამ თავისი გაიტანა. 30 აპრილს, დილის ოთხ საათზე, ქიმიკოსებმა სამშობლოს უპატაკეს ახალი, მორიგი გამარჯვება:

მიღებულ იქნა კაპროლაქტამისათვის საჭირო ერთ-ერთი კომპონენტი — ანოლი.

ამჟერად მშენებელ-მემონტაჟეთა და ქიმიკოსთა მთავარი საზრუნავი გახდა ის, რომ ჩქარი ტემპით აწარმოონ სამონტაჟო, საგამოცდო და აწყობის სამუშაოები ქართული კაპროლაქტამის მისაღებად.

გ. დემეტრაშვილი,
ქიმმრეწვმშენის სამმართველოს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი.
ა. ბერიძე,
ნორმატულ-საკვლევი სადგურის უფროსი.
ზ. მერკვილაძე,
„კომუნისტის" საკ. კორ.

## სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

ახალი ტიპების რაკეტული შეიარაღების აგრეთვე ამ იარაღით აღჭურვილი ატომური წყალქვეშა ნავებისა და წყალზედა გემების შექმნისა და წარმოების და სამხედრო-საზღვაო ფლოტის ხელახალი შეიარაღების საქმეში დიდი დამსახურებისათვის სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა სოციალისტური შრომის გმირის წოდება მიანიჭა 36 წამყვან კონსტრუქტორს, მეცნიერს, ინჟინერსა და მუშას, სსრ კავშირის ორდენებითა და მედლებით დააჯილდოვა 6 ათასზე მეტი კაცი — მუშები, კონსტრუქტორები, მეცნიერები, ხელმძღვანელები, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკები და სამხედრო-საზღვაო ფლოტის სამხედრო მოსამსახურეები. აგრეთვე სსრ კავშირის ორდენებით დააჯილდოვა მთელი რიგი სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტები, საკონსტრუქტორო ბიუროები და ქარხნები.

## „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტში

1963 წლის 16 და 17 აპრილს აკადემიკოს დ. ვ. სკობელცინის თავმჯდომარეობით გაიმართა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის სხდომები.

კომიტეტმა განიხილა წინადადებანი 1962 წლის საერთაშორისო ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ და მიიღო გადაწყვეტილება ამ საკითხზე.

ქვემოთ ქვეყნდება კომიტეტის დადგენილება საერთაშორისო ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ.

## „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის დადგენილება

### „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" 1962 წლის საერთაშორისო ლენინური პრემიების მინიჭების შესახებ

მშვიდობის შესანარჩუნებლად და განსამტკიცებლად ბრძოლის საქმეში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოთ „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის" საერთაშორისო ლენინური პრემიები:

მოდიბო კეიტას — საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეს (მალის რესპუბლიკა);

მანოლის გლეზოსს — ჟურნალისტს, საზოგადო მოღვაწეს (საბერძნეთი);

გიორგი ტრაიკოვს — საზოგადო და სახელმწიფო მოღვაწეს (ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკა);

ოსკარ ნიმეიერს — არქიტექტორს, საზოგადო მოღვაწეს (ბრაზილია).

მოსკოვი, 1963 წლის 17 აპრილი.

# დიდება კომუნისტური შრომის კოლექტივებსა და დამკვრელებს, წარმოების მოწინავეებსა და ნოვატორებს!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

## ყაყაჩოები მოაქვს დროშებად

ალ. ბეგაშვილი.

ზღვად ააჩქეფა სულში ხალისი,
გული სიმღერას როგორ მორჩება...
მოდის მაისი, მოდის მაისი,
ყაყაჩოები მოაქვს დროშებად!

ვარდ-ყვავილების წარღვნამ
წაგვლეკა,
ხაროხ, მამულო, მხნევ და ძლიერო,
საგაზაფხულო ზარმა დარეკა,
ჩანგი დავჭექოთ საბედნიერო!

მკერდს იხატავენ მწვანით ქედები,
ტყე და მინდორი ლხენით გაივსო.
გუნდი და გუნდი თეთრი
მტრედების
მშვიდობის მაცნედ მოგყავს, მაისო!

მათი ღუღუნი გვატკბობს,
გვალაღებს,
ფრთების ტყლაშუნით
გადაგვიარეს...
ძარღვში რძე უდგას ცვრიან
ბალახებს,
გულში მზე უდგათ ადამიანებს.

მოდის მაისის დილა მზიანი,
რომ აგვისრულოს ყველა მიზანი.
იასამნების ტოტთა შრიალით,
ვარდის ღიმილით სალამს
გვიგზავნის!

მოდის, სიცოცხლის წყაროდ
მოღელავს,
შავ ხნულს ჭეჭილით ლურჯად
გვიმოსავს.
თეთრო გოგონავ, წყნარო
გოგონავ,
ამ ვარდობის თვეს ვარდით
გილოცავ!

მაისს, ყაყაჩოს შუქში გახვეულს,
გამარჯვებების მოაქვს ალმები.
ამაყ შავგვრემანს, ლამაზს,
თმახვეულს
ზამბახთა კონით მოგესალმები!

მოდის მაისის დილა მზიანი,
რომ აგვისრულოს ყველა მიზანი.
იასამნების ტოტთა შრიალით,
ვარდის ღიმილით სალამს
გვიგზავნის!

ზღვად ააჩქეფა სულში ხალისი,
გული სიმღერას როგორ მორჩება.
მოდის მაისი, მოდის მაისი,
ყაყაჩოები მოაქვს დროშებად!

# კომუნისტური შრომის მარჯვენით

პოლიტექნიკური ინსტიტუტის შესასვლელში ჩოჩქოლი შეიქნა. სტუდენტებმა გზა დაუთმეს ლექტორისაკენ ერთ ახალგაზრდა კაცს. ის იძულებული შეიქნა ეს პატივი მიეღო და მალე შეაღო კარი გამომცდელის ოთახში. გამოცდა უმაღლეს მათემატიკაში მიმდინარეობდა. ლექტორმა სტუდენტი პირდაპირ დაისვა და საქმეს შეუდგნენ.

— ძალიან, ძალიან უნდა გამოგკითხოთ! — უთხრა გამომცდელმა.

— ჩემი სურვილიც ეგ არის. ერთხელ კიდევ მინდა დავრწმუნდე, როგორ დავძლიე საგანი...

რამდენიმე წუთის შემდეგ დარბაზში ყველამ იცოდა, რომ გამოცდაზე სტუდენტმა კარგი ცოდნა გამოიჩინა.

ინსტიტუტში ამ სტუდენტზე კიდევ ბევრი სხვა რამეც იცოდნენ. თუნდაც ის, რომ მის სახელს გადმოსცემენ რადიოთი, მას აჩვენებენ ტელევიზიით, მასზე არცთუ იშვიათად წერენ გაზეთებში. მაგრამ მისი მეგობრები, ნაცნობები და განსაკუთრებით ნათესავები ერთი რამით ყველაზე მეტად ამაყობენ — სახელდობრ იმით, რომ ეს პიროვნება სტუდენტია და ტექნიკური მეცნიერების შესწავლას დასწაფებია, მესამე კურსზეა მაუდ-კამვოლის კომბინატის მქსოველთა კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი. ბევრს, ძალიან ბევრს ეინტერესება, როგორ ჩადგა ეს ახალგაზრდა ჩვენი ქვეყნის მოწინავეთა შორის. აკი ის რიგითი მშრომელი იყო.

სულ ექვსიოდე წლის წინათ თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატში ოსტატმა სამუშაოზე მიიღო ახალგაზრდა ვაჟი. ვაჟს აპოლონი ერქვა, გვარად ჩიქოვანი იყო. ასეც ჩასწერა დოკუმენტში. ოსტატმა ვაჟი აათვალიერ-ჩაათვალიერა. აპოლონ ჩიქოვანს სუფთად, კოხტად ეცვა, მოძრავი ბიჭი ჩანდა. მაგრამ ოსტატს ის მაინც არ მოეწონა, ჯანმრთელობა ვერ შეატყო. ახლადმიღებულს მკრთალი იერი გადაჰკრავდა.

ოსტატმა მის მიერ დოკუმენტში ჩაწერილი გვარი და სახელი ერთხელ კიდევ ჩუმად ამოიკითხა, თითქოს სინჯავს, ხომ სწორად ჩავწერეო, და ახლად მიღებულს რიხიანად ჰკითხა:

— რა გვარი ხართ?

—ჩიქოვანი, აპოლონ ჩიქოვანი გახლავართ.

შეესმა ოსტატს მშვიდი ხმა. შეესმა და მაშინვე ენას კბილი დააჭირა. კინალამ წამოსცდა: ვინც უნდა იყო, კომბინატში სამუშაოდ არ გამოდგებიო. რაკილა ეს ვერ გაუბედა, კიდევ ერთი შეკითხვა მისცა:

— აპოლონ ჩიქოვანო, რა ცოდნა გაქვთ?

— სამთო-მეტალურგიული ტექნიკუმი დავამთავრე — და იქვე მოსალოდნელ კითხვებზეც გასცა პასუხი: — შრომის გამოცდილება მაქვს. ჭიათურაში მაღაროელად ვმუშაობდი. მაგრამ რა გამოვიდა! მიწის ქვეშ მუშაობა ამიკრძალეს ექიმებმა.

— აჰა საშვი, ღმერთმა ხელი მოგიმართოს.

აპოლონმა საშვი გამოართვა და კომბინატში შევიდა. მოხელემ მას თვალი გააყოლა და შეაფასა: ტანად და ჯანით ყარამანი არ არის, სიტყვა-პასუხი კი ეხერხება. მერე რატომღაც ეს ახლად მიღებული კაცი დაახსომდა, სამუდამოდ დაახსომდა, თუმცა ასეთები ასობით მიუღია და კიდევაც გაუთავისუფლებია წარმოებიდან. ახალგაზრდა ვაჟი საქსოვ საამქროში გაამწესებინათ. არც საამქროს უფროსს მოეწონა პირველი შეხედვისას ახალი მუშა. მაგრამ სიტყვა-პასუხმა მოხიბლა.

— თუ დამიჯერებ, ერთ რამეს გირჩევ!

— მიბრძანეთ! — იყო პასუხი.

— აი, რა, ძმაო, მოდი, დაიწყე მუშაობა აქვე საამქროში. ქსელის გამწყობებს და დაზგების შემკეთებლებს დაუკავშირდი. რა თქმა უნდა, ჯერ მოწაფედ იქნები. წინ წასვლა კი მხოლოდ შენზეა დამოკიდებული. ჩვენთან კაცი შრომით ფასდება. თუ ხელობას მალე შეისწავლი, დაუწინაურებლად არავინ დაგტოვებს.

— გმადლობთ! მიბრძანეთ, ვის მივმართო, რომ პირველად ხელი მომიმართოს სამუშაოზე. მერე... მერე... ვეცდები, აბა, რას ვიზამ, — ჩაილაპარაკა ახლად მიღებულმა მუშამ.

საამქროს უფროსს ეს პასუხიც მოეწონა. წაიყვანა ჩიქოვანი, ქვეოსტატს ჩააბარა და გამობრუნდა. აპოლონი საამქროში დარჩა. საქსოვი დაზგების გამაყრუებელი ხმაური იდგა. კაცი კაცს სიტყვას ყვირილით თუ გააგონებდა. ასე მიიბარა ვეებერთელა კომბინატმა ახალი პიროვნება მის კორპუსებსა, ბაღნარებსა და მქსოველების საზოგადოებაში. დრო კი მალე გადიოდა. ერთხელ საამქროს უფროსმა ქვეოსტატს ჰკითხა, ის კარგი სიტყვა-პასუხის ბიჭი, ჩიქოვანი როგორ მუშაობსო.

— ჩინებულად! საკითხავი არა სჭირს რა! — გაიოცა ქვეოსტატმა. მას უკვე ყოველგვარი საფუძველი ჰქონდა ასეთი ამაყი პასუხი გაეცა უშუალო უფროსისათვის. ქვეოსტატს აპოლონ ჩიქოვანი ხელსწრაფი თანამშრომელი გამოადგა. დავალება, რაც უნდა მცირედი ყოფილიყო, ჩიქოვანი იმედიანად, კარგად, სუფთად გააკეთებდა. მალე ბევრი სხვა კარგი თვისებებიც გამოამჟღავნა. სამუშაოზე არ იგვიანებდა, დღეებს არ აცდენდა. მუშაობაში და ამხანაგებთან ურთიერთობაში გარკვეულობა და წესრიგი უყვარდა.

ასეთმა „ზნემ“ მას ამხანაგებისა და ადმინისტრაციის თვალში ნდობა და ავტორიტეტი მოუპოვა. ყველაზე მეტი ფასი იმას ჰქონდა, რომ აპოლონი მისთვის მინდობილ საქმეს არ გააფუჭებდა, არ ჩააგდებდა. დაზგების შეკეთება-გაწყობას რამდენიმე კვირაში დაეუფლა. ერთი წლის შემდეგ ზოგიერთ აღიარებულ ოსტატს აპოლონი უთუოდ სჯობდა. ასეთი ინიციატივიანი ახალგაზრდა კომბინატს ბევრი სჭირდებოდა.

თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატს ხომ საზღვარგარეთაც კარგად იცნობენ. ქართული მატყლისაგან მოქსოვილი საპალტოე და საკოსტიუმე ქსოვილები წარმატებით ეჯიბრებიან საუკუნეების მანძილზე განთქმულ სხვა ქვეყნების ქსოვილებს.

საფეიქრო მრეწველობის ეს გიგანტი ამ საუკუნის ოცდახუთიან წლებში ააგეს. ჩვენს ინჟინრებსა და ტექნიკოსებს ამაში ბევრი არავინ დახმარებია. კომბინატმა მისი არსებობის განმავლობაში ინჟინერ-ტექნიკოსების და კვალიფიციური მუშების თაობები გამოზარდა. ბევრი მათგანი რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებში მუშაობს და საფეიქრო მრეწველობას ავითარებს.

მრავალ ინჟინერსა და მოღვაწეს უსახელებია თავი აქ, მრავალი მათგანის ქება მოსდებია ჩვენს სამშობლოს. მაგრამ მათი შედარებაც ძნელია იმ ქვეოსტატის სახელთან, რომელიც ერთხელ ოსტატმა ჩვეულებრივად მიიღო სამუშაოზე და საამქროში შესვლის საშვი მისცა. აპოლონ ჩიქოვანი გაიზარდა, დახელოვნდა. ქსოვის ხელოვნებას მთლიანად დაეუფლა.

როცა ეს ნარკვევი იწერებოდა, აპოლონი კრემლში იყო და კომუნისტური შრომისათვის მოძრაობის მოწინავეებთან ერთად თათბირობდა.

აპოლონის შესახებ მისი უახლოესი ამხანაგი და მოწაფე ქვეოსტატი ავთანდილ ავალიანი გვიამბობს.

ავთანდილს სიამეს ჰგვრის მოწინავე ამხანაგზე საუბარი. მოელის მას და მრავალ ახალ ამბავს, მაგრამ წასული იგვიანებს დაბრუნებას, უთუოდ დღესასწაულებს იქ შეხვდება.

აპოლონ ჩიქოვანის სახელი პირველად ოთხიოდე წლის წინათ გაისმა კომბინატის მქსოველთა შორის, როცა მას ქვეოსტატობა მიანიჭეს და თვრამეტი რთული დაზგა ჩააბარეს მოსავლელად. ამ თანამდებობის მიღება კომბინატში იშვიათ და საოცარ მოვლენას არ წარმოადგენდა. ქვეოსტატის თანამდებობა ბევრს ეკავა, რამდენიმე დაზგის მომვლელებიც მოიძებნებოდა. სახმაურო სხვა რამ იყო. აპოლონმა ასეთ მაღალ ნდობას მოკლე დროში მიაღწია და ყველა დაჟინებით ამბობდა: მასზე ალალია დაწინაურება, საქმეს კარგად გაუძღვება, ყველაფერი წესრიგზე ექნებაო.

შემდეგმა მოვლენებმა მალე გაამართლა ხელმძღვანელების და ოსტატების ვარაუდები. ახალგაზრდა ქვეოსტატი დატრიალდა. სწრაფად დააწყო თავისებურად სამუშაო, ოსტატი თავის თავს მედიდურად არავისაგან განასხვავებდა. ფხასა და გამჭრიახობას მისთვის მინდობილ თვრამეტ დაზგასა და მქსოველებთან იჩენდა, აქ ერთი ამბავიც გახდა ცნობილი. აპოლონს ინსტიტუტში ჩაებარებინა გამოცდა. ის უკვე პირველი კურსის სტუდენტი იყო.

კომბინატში და კერძოდ საქსოვ საამქროში საწარმოო თათბირები ხშირ-ხშირად ეწყობოდა. სტუდენტი ქვეოსტატი ამ შეკრებებს, როცა საჭირო იყო, მოკლე, სხარტი, ნათლად გამოთქმული შენიშვნებით ახალისებდა. მისი წინადადებები მქსოველების გულსა და ცნობიერებას აფხიზლებდნენ და ახარებდნენ.

მალე გამოირკვა აპოლონის ერთი მიზანი: მას სურდა გამოეშვა მხოლოდ პირველი ხარისხის ქსოვილი. აპოლონის ამ თაოსნობას მხურვალედ დაუჭირეს მხარი მქსოველებმა ტატიანა სმეტანკინამ, ვერა ოდნოროგოვამ, თამარ კრიანკინამ, ლამარა ბურდულმა, გულნარა ბექიტაშვილმა, ალექსანდრა ბუდიონაიამ, ელენე ზანდარაშვილმა და სხვ. აპოლონის გონივრულ მითითებებს სულითა და გულით ასრულებდა ყველა მქსოველი. სიხარული თავისთავად გაჩნდა, მოვიდა. მქსოველებმა სულ მცირე დროში გამომუშავებაც გაზარდეს და ნაქსოვის ხარისხიც მკვეთრად აამაღლეს. წუნი ორ პროცენტს არ აჭარბებდა. — ამით აპოლონმა და მისმა მქსოველთა კომუნისტური შრომის ბრიგადამ, — გვეუბნება ავალიანი, — ახალი სიტყვა თქვა. თურმე უწუნოდ მუშაობაც შესაძლებელი იყო.

— და რა მოხდა?

— კომუნისტური შრომის ბრიგადამ ესეც შეძლო. ორი პროცენტი წუნიც ალკვეთა და ახლა ბრიგადა მხოლოდ პირველი ხარისხის ქსოვილებს უშვებს.

— შემდეგ?

— კომბინატში კი არა, — განაგრძობს საუბარს ავთანდილი, — მთელ საფეიქრო მრეწველობაში ჩიქოვანის მიმდევრებმა პირველი ადგილი დაიმკვიდრეს. მათი მუშაობა და მოღვაწეობა ყველა ფეიქრის შესწავლისა და მიბაძვის, გამოცდილების გადმოღების საგანი გახდა. თბილისის მაუდ-კამვოლის კომბინატის ა. ჩიქოვანის კომუნისტური შრომის ბრიგადა მთელ საბჭოთა კავშირში გახდა ცნობილი.



თბილისელი ფეიქრების ეს წარმატება პირველად ლენინგრადელებმა შენიშნეს. ტელმანის სახელობის კომბინატის მქსოველი რუსი მუშები და მუშაქალები თავიანთ თანამოძმეებს ესტუმრნენ თბილისში. სტუმრები ახლოს გაეცნენ ჩიქოვანელების გამოცდილებას და ქსოვის მეთოდებს. ქართველი ფეიქრების დიდ წარმატებაზე წერილები დასტამბა ლენინგრადის ფეიქრების გაზეთმა „კრასნი ტკაჩ“.

ბოლოს საჭიროა ციფრები, და აი ისინიც: ჩიქოვანის ბრიგადას დიდი ხანია ოცი დაზგა აქვს ჩაბარებული. ბრიგადაში ათი ქალია და ყოველი მათგანი ორ დაზგას უვლის. რკინის ოცი დამხმარე ერთად დგას ვეებერთელა კომბინატის ერთ კუთხეში. განუწყვეტლად ისმის მათი დაუღალავი დგანდგარი. ბევრმა არ იცის, რომ ეს ათი ქალი მათთვის მინდობილი ორ-ორი დაზგით 92 ათასამდე მეტრ შალეულის უძვირფასეს ქსოვილებს აბარებს ყოველწლიურად საყვარელ დედაქალაქს. და რა გასაკვირველია, თუ თბილისიც ამაყობს თავისი მქსოველი ოსტატებით, აპოლონ ჩიქოვანისებრი სტუდენტებით.

ბორის ჩხეიძე.

* * *

სურათზე: ა. ჩიქოვანი.



ზუგდიდის რაიონის სოფელი ახალსოფელი სამართლიანად ითვლება გმირების სოფლად. აქ სოციალისტური შრომის გმირის მაღალი წოდება მინიჭებული აქვს 50-მდე მეჩაიეს.

ახალსოფლელ მეჩაიეთა შორის ერთი შესანიშნავი ოჯახია. ეს არის მოწინავე კოლმეურნე კომუნისტის პართენ მიხეილის-ძე ქადარიას ოჯახი.

ამ ოჯახს მეტად საინტერესო ისტორია აქვს. ღარიბი, უმიწო მოჯამაგირის შვილი პართენი ერთ-ერთი პირველი შევიდა კოლმეურნეობაში და დაიწყო ჩაის პლანტაციების გაშენება ამოძირკულ, ყოფილ თავმინებებულ ნაკვეთ „უჩაშონაზე“, რომელიც წინათ მდიდარ ზუგდიდელს თომა ხვიტიას ეკუთვნოდა.

# ოთხი ვარსკვლავის ისტორია

მას შემდეგ მრავალი წელი გავიდა. სავსებით იცვალა სახე ყოფილმა „უჩაშონამ“, სადაც ახლა ასობით ჰექტარზე გადაჭიმულია ჩაის პლანტაციები, რომლებიც უდიდეს შემოსავალს აძლევენ ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობას.

შეიცვალა ქადარიას ოჯახიც. ეს ოჯახი არა მარტო მთელი რაიონის, არამედ საქართველოს რესპუბლიკის თავისებური ღირსშესანიშნაობა გახდა.

საქმე ის არის, რომ ქადარიას ოჯახის სამ წევრს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება, ქადარიას ოჯახის წევრები დაჯილდოებული არიან ლენინის რვა ორდენით. მათ რვაჯერ მიიღეს მონაწილეობა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის მიღწევათა გამოფენაში და რვაჯერვე ოქროს მედლებით დაბრუნდნენ მოსკოვიდან.

მოდით უფრო ახლოს გავეცნოთ ამ სახელოვანი ოჯახის — სოციალისტური შრომის სამი გმირის ოჯახის წევრებს.

პირველი ოქროს ვარსკვლავით დაჯილდოებულ იქნა ოჯახის დიასახლისი დომინიკა, ანუ როგორც მას უბრალოდ ეძახიან კოლმეურნეობასა და ოჯახში, დონი ქადარია — წარჩინებული მერგოლეური, რომელმაც 1947 წელს მისი რგოლისათვის მოსავლელად ჩაბარებული პლანტაციიდან მიიღო 10.100 კილოგრამი ჩაის ფოთოლი.

შემდეგი ოქროს ვარსკვლავი აბრწყინდა ოჯახის მეთაურის, მეჩაიეობის ბრიგადის ხელმძღვანელის პართენ ქადარიას მკერდზე. 1948 წელს მისმა ბრიგადამ მოიყვანა ჩაის სარეკორდო მოსავალი, თვითეულ ჰექტარზე აიღო 8 ტონა ჩაის ფოთოლი.

გავიდა ორი წელი, და ქადარიას ოჯახში გაჩნდა სოციალისტური შრომის მესამე გმირი. ეს იყო მათი ქალიშვილი მინა, რომელმაც 0,5 ჰექტარზე 7 ტონა „მწვანე ოქრო“ მოკრიფა.

დიდი სამამულო ომის მძიმე წლებში ახალსოფელში ევაკუირებულ იქნა უკრაინელი ქალიშვილი, პოლტავის ოლქის ორჟიცის რაიონის სოფელ ონიშკის მცხოვრები ბარბარე სრიბნოვა.

ბევრი გაჭირვება გამოიარა მარტოხელა ქალიშვილმა, რომელიც მშობლებს ომმა დააშორა. მაგრამ მისთვის უცნობმა უბრალო, გულკეთილმა საბჭოთა ადამიანებმა თავშესაფარი მისცეს ქალიშვილს, დაეხმარნენ ყველაფერში.

ეს იყო ქართველი კოლმეურნის პართენ ქადარიას ოჯახი, სადაც მარტოხელა ქალიშვილი თავს ისე გრძნობდა, როგორც საკუთარ სახლში.

პართენმა ვარიას თავის ბრიგადაში დააწყებინა მუშაობა, ხოლო დონიმ და მინამ გადაწყვიტეს მეჩაიე გაეხადათ უკრაინელი ქალიშვილი. მალე მათი შრომისმოყვარე მოწაფე უკვე აღარ ჩამორჩებოდა კოლმეურნეობის მოწინავე ჩაის მკრეფავებს. გავიდა რამდენიმე წელი, და ბარბარე სრიბნოვას მკერდზე შრომის წითელი დროშის ორი ორდენი აციმციმდა.

1951 წელს კი ქადარიას ოჯახმა სულით და გულით მიულოცა თავის აღზრდილს უმაღლესი ჯილდო — სოციალისტური შრომის გმირის ოქროს ვარსკვლავი.

რა შეიძლება იყოს უკეთესი დადასტურება მრავალეროვანი საბჭოთა ხალხის დიადი მეგობრობისა!

ოთხი გმირი ხშირად იკრიბება ერთად ქადარიას ოჯახის ახალ დიდ სახლში. ზუგდიდიდან ჩამოდის ბარბარე სრიბნოვა — ამჟამად ენგურის ცელულოზ-ქაღალდის კომბინატის მოწინავე მუშაკი.

ოქროს ვარსკვლავის ოთხ კავალერს ბევრი რამ აქვს მოსაგონარი, ურთიერთისათვის გასაზიარებელი და საბაასო.

ს. კილაძე.

სურათზე: სოციალისტური შრომის გმირები (მარცხნიდან მარჯვნივ) პართენ ქადარია, მინა ქადარია, ბარბარე სრიბნოვა და დომინიკა ქადარია.

ფოტო ავტორისა.

# ოჯახის ღიმილი

1918 წლის თებერვალი.

ახალგაზრდა მამას ქალიშვილის შეძენა მიულოცეს.

პირველმა გოგონამ სიხარული მოუტანა შალვას ოჯა[illegible] შემდეგ [illegible] გაჩნდა!..

და ნანატრივით—მერვე შვილი კვლავ ქალი დაიბადა, რომელსაც ნაზოლარას სახელი შერქვა. თუმცა მშვენიერი სახელი ნანი დაარქვეს.

მოხდა ის, რასაც ასე ადრიან არავინ ელოდა, — ბედნიერი ოჯახის ამაგდარი და მოსიყვარულე დედა უდროოდ გარდაიცვალა. ტატიანა ვეღარ მოესწრო იმ ოცნების ფრთების შესხმას, რომელზეც აკვანთან ღამის თევისას ტკბილად ფიქრობდა შვილებისათვის.

* * *

1917 წლის სექტემბერი.

ახალგაზრდა შალვა პავლეს-ძე მესხი გამოეთხოვა ქუთაისის პირველ სამოქალაქო სასწავლებელს. საშუალო სკოლის კურსდამთავრებული ქვედა სიმონეთის დაწყებითი სკოლის გამგედ დანიშნეს.

შემდეგში რუსულ ენას ასწავლიდა თანასოფლელ კოლმეურნეთა შვილებს კოლმეურნე ახალგაზრდობის სკოლაში.

1937 წლიდან ქვედა სიმონეთში სრული საშუალო სკოლა დაარსდა. შალვა მესხი ამ საქმის ინიციატორი იყო და ამ სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი იყო. ვინ მოთვლის, რამდენ ნაზშირელელ, სიმონეთელ, ეწრელ და ბარდუბნელ ახალგაზრდას გაუხსნა გონების კარი, მშობლიური გულთბილობით გაუშუქა გზა ცხოვრების ფართო ასპარეზზე შემოქმედებითი გამოსვლისათვის, მეცნიერული მოღვაწეობისათვის.

ამ სკოლაში გაატარა 45 წელი შალვამ. აქ მუშაობდა უანგაროდ და უმწიკვლოდ, რისთვისაც ლენინის ორდენით დააჯილდოვეს, საქართველოს სსრ დამსახურებული მასწავლებლის წოდება მიანიჭეს. ამ სკოლიდან ახლახან გავიდა მოხუცებულობის პენსიაზე და ვალმოხდილი სიყვარულით გააცილეს ფასასვენებლად.

გააცილეს, და რამდენი მოგონება გაჰყვა.

აი პირველად შედის საკლასო ჟურნალით კლასში...

სოფელში უვიცობა სუფევს, ორიოდე გლეხმა თუ იცის წერა-კითხვა...

ახლა ასობით არიან საშუალო განათლების მქონენი.

თვითეულ ოჯახზე ერთზე მეტი უმაღლესი განათლების მქონე მოდის... ინჟინრები, აგრონომები, ექიმები, მეცნიერი მუშაკები, ვეტერინარები, მასწავლებლები...

მარტო შალვას გვერდით მუშაობდა უმაღლესი პედაგოგიური განათლების მქონე 40-ზე მეტი მასწავლებელი, შალვას ყოფილი მოსწავლე.

სად იყო მკურნალი! ახლა საექიმო უბანი, სააავადმყოფო... ადგილობრივი კადრები. მარტო ერთ ოჯახში გაიზარდა შვიდი ექიმი. ამას საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის ერმი ქართველიშვილის ოჯახზე ფიქრობს ახლა შალვა. მას სამი შვილი, ორი და და რძალი ექიმები ჰყავს... და კიდევ დების ქმრები, დისშვილები და ქალიშვილების ქმრები... ამათი ჩათვლით სულ ცამეტი!..

თავის თავზე არაფერს ამბობს.

სკოლაში ახალგაზრდა თაობის გულისხმიერი აღმზრდელი, დაუღალავი საზოგადო მუშაკი ოჯახშიც სამაგალითო მამაა. შალვა გაათკეცებით ტკბილი და საყვარელი გახდა დედით დაობლებული შვილებისათვის.

...შურამ თბილისში პუშკინის სახელობის პედაგოგიური ინსტიტუტი დაამთავრა.

გიგლამ და პავლემ ომსკის ვეტინსტიტუტში მიიღეს ვეტექიმობა, შემდეგში კი ვეტაკადემია დაამთავრეს... მამაცურად იბრძოდნენ სამამულო ომის ფრონტზე.

ნაზარმა და გივიმ ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში მოიპოვეს მასწავლებლის წოდება.

ნოდარი თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში გახდა ტექნოლოგი...

ხოლო უმცროსი ვაჟი თბილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ინჟინერგეოლოგი გახდა და შორეულ დონბასში მუშაობს.

„ნაზოლარა“ ნანი დაუსწრებლად სწავლობს ქუთაისის პედაგოგიურ ინსტიტუტში.

ხუთი რძალი ჰყავს შალვას. სამმა პედაგოგის დიპლომი შემოიტანა ოჯახში. ერთი ბუხჰალტერია და ერთიც ჯანმრთელობის დაცვის საქმეს ემსახურება.

თორმეტი დიპლომი ერთ ოჯახში!

მეცამეტე დიპლომს გაისად დაიცავს ნანი!

ფესვებიც ღრმად აქვს გადგმული შალვას — ათობით შვილიშვილი ჰყავს!

1963 წლის მაისი. სადღესასწაულო მაგიდის თავში ზის ბედნიერი მამა. მაგიდა ძლივს იტევს შვილებს, რძლებს, შვილიშვილებს, ახლობლებსა და შორეულ მეგობრებს.

კმაყოფილების ღიმილი უკრთის შალვას სახეზე. დრო და დრო ტკბილსა და საამო სიმღერას დააღუღუნებს ლამაზი ცხოვრების დიად საგალობლად.

ოთხი აკვანი ირწევა ერთიმეორის გვერდით. ალუ-ალუს ღუღუნობენ ჩაარტახებული ბუთხუზა ჩვილები, თითქოს ბანს აძლევენო ბაბუას ნათქვამ სიმღერას.

თვალი მაინც კარისაკენ უჭირავს შალვას. წუხელ ყველა შვილები და მოპატიჟებული მეგობრები ეწვივნენ. მაგრამ არ ჩამოსულა უმცროსი ვაჟი დონბასიდან.

ფოსტალიონი შემოვიდა. შვილი დეპეშით ულოცავდა მამასა და და-ძმებს დღესასწაულს!

იჭექა მრავალჟამიერმა!

ირწევა აკვნები!

ილხენენ და ზეიმობენ კომუნიზმის აქტიური თუ მომავალი მშენებელი ადამიანები მასწავლებელ შალვა მესხის ოჯახში...

ნ. კლდიაშვილი.

თერჯოლა.

## სამაისო სტრიქონები

[illegible]

# თბილისური მარკით 34 სახელმწიფოში

თბილისის ქარხანა „ელექტროგამშვები“ შვიდწლედის პირმშოა. ახალგაზრდა კოლექტივმა დაუღალავი, შემოქმედებითი შრომით მოკლე დროში აითვისა მრავალი სხვადასხვა სახის მაგნიტური და რევერსიული გამშვების წარმოება.

თბილისური მარკის მაგნიტურ გამშვებებს კარგად იცნობენ ჩვენს დიად სამშობლოში, მოძმე სოციალისტურ ქვეყნებსა და კაპიტალისტურ სახელმწიფოებში — სულ 34 ქვეყანაში.

წარმოების ახალგაზრდა კოლექტივი, ითვალისწინებს რა ესოდენ დიდ მოთხოვნილებას თავის პროდუქციაზე ყოველწლიურად ზრდის პროდუქციის გამოშვებას, აუმჯობესებს მის ხარისხს.

ქარხნის კოლექტივმა ამჯერადაც ისახელა თავი. აქ ოთხი თვისა და საპირველმაისოდ ნაკისრი ვალდებულება ვადაზე ადრე გაანაღდეს და გეგმის გადამეტებით რამდენიმე ათეული მაგნიტური გამშვები მიაწოდეს ფაბრიკა-ქარხნებს.

ისიც აღსანიშნავია, რომ წარმოებაში ძირითადად ახალგაზრდები მუშაობენ. ისინი სიმწიფის ატესტატით პირდაპირ წარმოებაში მოვიდნენ, გამოცდილი ოსტატების დახმარებით მალე დაეუფლნენ ხელობას და მწყობრი ნაბიჯით მიდიან წინ, ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად და კომუნისტური შრომის საუკეთესო ნიმუშებს იძლევიან.

სურათზე: მოწინავე ახალგაზრდა მუშების ერთი ჯგუფი — ნ. ნებიერიძე (მარცხნიდან), ლ. პრონკინა, ა. ბაღდასაროვი, ნ. კერესელიძე, მ. ნადირაძე და ზ. ღამბაშიძე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.



# ჩემო ლენინგორო!..

აპრილთან ერთად მოვედი შენთან, ჩემო ლენინგორო!

გავიხსენე შენი ძველი სახელი ახალგორი და დიდებული აკაკის ლექსი „აღმართ-აღმართ მივდიოდი მე ნელა“.

დიახ, რევოლუციის აღმართებზე მიდიოდა ქსნის ხეობაც. ღარიბები უტევდნენ მუქთახორა მდიდრებს — ხალხის წურბლებს. შემტევთა ლაშქარში იყვნენ მიხა და ბაბალე პაპუნაშვილებიც.

რევოლუციის გუთანმა ცხოვრებას ღრმა კვალი გაავლო, თავისუფლების ლელოც გაიტანა ლენინის დროშით.

დაიბადა საბჭოთა საქართველო. და შენც იშვი, ჩემო ლენინგორო!

აყვავდი, გულ-მკერდს გიქარგავს გაზაფხულის მშვენიერი თვე — აპრილი. ფერები ფერებს შერევია სერებსა და კორდებზე. ჭეჭილის მწვანე ზღვებია ველ-მინდვრებზე, წირქოლში ვაზს სიხარულის ცრემლი სცვივა... ტირის ვაზი იკოთშიც, სადაც მევენახის დღეც დაწესდა ლენინის დღეებში.

...კოპწია, ლამაზი, გულმიმტაცი ხარ, ლენინგორო! დაბაში ბევრი რამ არის ახალი, ლენინის მზიურ სახელს რომ შეჰფერის.

ლენინის დროშით გაცისკროვნებულია შენი გზა შვიდწლედის მეხუთე წლის მიჯნებისაკენ. გამართული ნაბიჯებით იარე ამ გზაზე, ჩემო ლენინგორო!

ს. ყურაშვილი.





მოდიბო კეიტა.



მანოლის გლეზოსი.



გიორგი ტრაიკოვი.



ოსკარ ნიმეიერი.

## დღესასწაულზე, კასტროსთან ერთად

ჩვენ ბევრი კარგი მაისი გვახსოვს, —
წლევანდელი კი სხვა არის მაისი.
[illegible]
გმირს დღემდე ალბათ ჯერ არსად ახსოვს —
ეგრძნოს ამგვარი უსაზღვროება,
უსაზღვროება ფიქრის, ოცნების,
გულში ძალღონის მოზღვავებისა;
თან ჩუმად ნანობს, ყოვლის მომცემი
[illegible]
ეს რაა! [illegible]
ლომი შავ ფაფარს როგორ აიშლის...
მტრისთვის შუბლშეკრულს, ძმისთვის გულგაშლილს
მტლად დასდებოდეს ჩვენი მაისი!..

შალვა ამისულაშვილი.

# ლენინური პრემიები მშვიდობისათვის მებრძოლებს

ოთხ გამოჩენილ მშვიდობისათვის მებრძოლს, რომელთაც თავიანთი ცხოვრება ძიუძღვნეს ადამიანთა ბედნიერებისათვის დიად ბრძოლას, ჩვენმა კომიტეტმა მიაკუთვნა „ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ 1962 წლის საერთაშორისო ლენინური პრემია. ახალ ლაურეატთა შორის არიან აფრიკის სახელმწიფოს მეთაური, ცნობილი ჟურნალისტი — საბერძნეთის ეროვნული გმირი, ბულგარეთის თვალსაჩინო გლეხთა მოღვაწე, სახელგანთქმული ბრაზილიელი არქიტექტორი.

აფრიკის თავისუფლებისმოყვარე ხალხებთან ერთად მოწინავე კაცობრიობა სულითა და გულით ულოცავს მშვიდობის საერთაშორისო ლენინური პრემიის ახალ ლაურეატს **მოდიბო კეიტას** — მალის რესპუბლიკის სახელმწიფოს მეთაურსა და მთავრობის თავმჯდომარეს.

მოდიბო კეიტა აფრიკის ხალხთა განთავისუფლებისათვის აქტიური მებრძოლია. მიუხედავად კოლონიზატორთა მხრივ დევნისა, დაპატიმრებისა, გადასახლებისა, იგი დიდ მუშაობას ახორციელებდა ანტიკოლონიალიზმის ერთიან ფრონტში ხალხთა ფართო მასების ჩაბმისათვის. მამაცურმა და თანამიმდევრულმა საქმიანობამ მისი ქვეყნის უბრალო ადამიანთა პატივისცემა და სიყვარული მოუპოვა მას და აიძულა კოლონიური ხელისუფლები ანგარიში გაეწიათ მისთვის.

მალის რესპუბლიკის სახელმწიფოსა და მთავრობის მეთაური რომ გახდა, მოდიბო კეიტა აქტიურად ახორციელებს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, რომელსაც საფუძვლად უდევს სხვადასხვა სოციალური წყობილების ქვეყნების თანაარსებობის პრინციპი. მან ფასდაუდებელი წვლილი შეიტანა მშვიდობის დაცვის საქმეში, მიაღწია საფრანგეთის ყველა სამხედრო ბაზის ლიკვიდაციასა და საფრანგეთის შეიარაღებული ძალების გაყვანას მალიდან.

საერთაშორისო ლენინური პრემია მიენიჭა მთელი მსოფლიოსათვის ცნობილ აკროპოლის გმირს **მანოლის გლეზოსს.**

მისი გმირობა მარად დარჩება ხალხის გულში, მოუწოდებს თაობებს შემართებლური საქმეებისათვის თავისუფლების სადიდებლად.

1941 წლის მაისში, როცა მისი სამშობლო — საბერძნეთი გმინავდა ფაშისტ ოკუპანტთა უღელქვეშ, 19 წლის ჭაბუკი ავიდა გაძლიერებით დაცულ ძველ აკროპოლზე და ჩამოგლიჯა იქ აფრიალებული ფაშისტური ალამი. ეს იყო სიგნალი ბრძოლის გაძლიერებისა ფაშისტთა წინააღმდეგ.

ნიჭიერმა ჟურნალისტმა მანოლის გლეზოსმა არაერთხელ განიცადა დევნა გაბედული, მართალი, რეაქციის მამხილებელი სტატიებისათვის. 1948 წელს მას სიკვდილით დასჯა მიუსაჯეს, 1958 წელს ცრუ ბრალდებით ჯურღმულებში ჩააგდეს. საბერძნეთის ხალხი და მსოფლიო საზოგადოებრიობა ყოველთვის ირაზმებოდა ეროვნული გმირის დასაცავად და მათი ზეგავლენით საბერძნეთის მთავრობა იძულებული იყო გაეთავისუფლებინა მანოლის გლეზოსი.

1962 წლის 15 დეკემბერს საპყრობილიდან განთავისუფლებულმა გლეზოსმა კვლავ დაიკავა ადგილი მშვიდობისა და პროგრესის საქმისათვის მგზნებარე მებრძოლთა პირველ რიგებში.

მსოფლიო საზოგადოებრიობა კმაყოფილებით შეხვდება იმ ცნობას, რომ საერთაშორისო ლენინური პრემია მიეკუთვნა **გიორგი ტრაიკოვს** — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილეს, ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირის უცვლელ მდივანს.

გიორგი ტრაიკოვმა 17 წლისამ დაიწყო შრომითი ცხოვრება, 1920 წელს კი, როცა ის-ის იყო შეუსრულდა 22 წელი, ბულგარეთის სამიწათმოქმედო სახალხო კავშირის ერთ-ერთი ხელმძღვანელი გახდა. პატიოსნებამ და პრინციპულობამ, საქმისადმი ერთგულებამ და ცხოვრების უდიდესმა გამოცდილებამ სახელი და პატივისცემა მოუხვეჭეს მას არა მარტო ბულგარეთში, არამედ მსოფლიოს სხვა ქვეყნებშიც.

ფაშიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ შეურიგებელი მებრძოლი გიორგი ტრაიკოვი მიუძღოდა ბულგარეთის მშრომელი გლეხობის მასებს თავისუფლებისა და ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. სახალხო ხელისუფლების დამყარების შემდეგ მას უკავია მიწათმოქმედების მინისტრის, შემდეგ კი ბულგარეთის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის პოსტი.

ლათინური ამერიკის ხალხები და ყველა კეთილი ნების ადამიანი მიესალმებიან იმას, რომ საერთაშორისო ლენინური პრემია მიენიჭა გამოჩენილ არქიტექტორს, მშვიდობისათვის აქტიურ მებრძოლს **ოსკარ ნიმეიერს.**

ნიჭიერმა ბრაზილიელმა არქიტექტორმა ოსკარ ნიმეიერ სოარეს ფილამ ომისშემდგომ წლებში სახელი გაითქვა მთელ მსოფლიოში. იგი იყო ავტორი ბრაზილიის ახალი დედაქალაქის — ბრაზილიას ძირითად საზოგადოებრივ შენობათა პროექტებისა, მონაწილეობდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ნიუ-იორკის შენობის, ევროპის ქვეყნების ბევრი ფუნდამენტური ნაგებობის დაპროექტებაში.

ნიმეიერი ხალხთა და სხვადასხვა სოციალური წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის იდეის თანამიმდევარი მომხრეა. იგი აქტიურად მონაწილეობს ლათინური ამერიკის ქვეყნების საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ამხილებს მშვიდობის მტერთა ზრახვებს და იცავს ხალხთა მეგობრობის პრინციპებს.

საბჭოთა ხალხი სულითა და გულით ულოცავს მშვიდობისათვის გამოჩენილ მებრძოლებს და უსურვებს მათ წარმატებას კეთილშობილურ საქმიანობაში.

აკადემიკოსი
**დ. ვ. სკობელცინი,**
„ხალხთა შორის მშვიდობის განმტკიცებისათვის“ საერთაშორისო ლენინური პრემიების კომიტეტის თავმჯდომარე.

# ვივა კუბა, ვივა ფიდელ!

ლაპარაკობს მოსკოვი. კრემლთან სიტყვას ამბობენ ნიკიტა ხრუშჩოვი და ფიდელ კასტრო. მსოფლიოს ესმის მათი ხმა. ჩვენ ეს ხმა შავი ზღვის პირას ქართველი აგრონომის ისიდორე ლომინაიშვილის ოჯახში გვესმის.

...შუა ხნის ჭაღარა ვაჟკაცს ხელში უცხოური გაზეთი უჭირავს.

გაზეთს ესპანურად აწერია „ნოტისიას დე ოი“. პირველ გვერდზე ვეებერთელა სურათია: ტრიბუნაზე ცეცხლს აფრქვევს ფიდელ კასტრო. ჰავანის ცის ქვეშ მიტინგის პრეზიდიუმში დგას ორი ქართველი. ერთი ისიდორე ლომინაიშვილია, მეორე მისი მეუღლე — ზინაიდა ლომინაიშვილი. ბომბივით სკდება კასტროს სიტყვები: „პარტია ო მუერტე! კუბა-სი, იანკი ნოუ!“ და მთელი კუბა იმეორებს: სამშობლო ან სიკვდილი! კუბა — ჰო, იანკი — არა!“ ასე გგონია, კიდევ ერთი წამი, და სურათი კინოკადრივით ალაპარაკდება.

როდესაც მიტინგი მორჩება, ფიდელ კასტრო ხელს ჩამოართმევს პრეზიდიუმში მდგომთ და დატოვებს ხოსე მარტის მოედანს. შავი ლიმუზინი ქართველებს წაიყვანს ლათინური ამერიკის ერთ-ერთი საუკეთესო ოტელის „ჰავანა-ლიბრას“ გვერდით 18-სართულიან კომფორტაბელურ სასტუმრო „კაპრში“. აქ ცხოვრობენ გალის რაიონის გინძე-ეწერის ეთერზეთოვანი კულტურების მეურნეობიდან შორეულ კუბაში ჩამოსული აგრონომი ისიდორე ლომინაიშვილი, რომელიც თავისუფლების კუნძულზე გაგზავნა საბჭოთა ქვეყანამ, როგორც სოფლის მეურნეობის შესანიშნავი სპეციალისტი, და მისი მეუღლე ზინაიდა ლომინაიშვილი. ზინაიდა ჰავანაში საბჭოთა საკონსულოს ბიბლიოთეკარია.

...შუა ხნის ჭაღარა კაცმა განზე გადადო გაზეთი და კალენდარის ფურცლებივით აშრიალდნენ კუბაზე გატარებული დღეები მოგონებაში...

მოსკოვში მინისტრთა საბჭოში მოკლედ უთხრა მას მთავრობის წევრმა:

— თქვენ, ამხანაგო ლომინაიშვილო, სამშობლო გგზავნით კუბაზე. კარიბის ზღვის სანაპიროზე ისევე უნდა იშრიალონ ევკალიპტებმა, როგორც კოლხიდაში...

თეთრმა საჰაერო ლაინერმა ჯერ ევროპას გადაუარა, ზღატა პრაღაში შეისვენა, მერე პორტუგალიის კუნძულ სანტა-მარიაზე დაეშვა, მერე ეკვეთა ოკეანის ქარიშხლებს და დანიშნულ დროზე სამი საათით ადრე ჩაფრინდა ჰავანაში.

აეროპორტში 70-მდე საბჭოთა მგზავრს გამოეყო ერთი ახალგაზრდა და განაცხადა:

— მე აქ ლოდინის თავი არა მაქვს. მივდივარ სასტუმრო „რასიტაში“. პირველად კი არა ვარ კუბაზე...

სხვები დარჩნენ აეროპორტში, ელოდნენ საკონსულოსა და ჰავანის მცხოვრებთა წარმომადგენლებს.

ვიღაცამ იკითხა: ვინ არის ეს ახალგაზრდა?

— ეს პოეტი ევგენი ევტუშენკოა, — იყო პასუხი.

მეორედ ევტუშენკოს ჩვენს საკონსულოში შევხვდით მე და ნოდარ კუცია, ინჟინერი აბაშიდან, — ამბობს ისიდორე, — ფიდელზე წაიკითხა ლექსები... მაინცდამაინც დიდი შთაბეჭდილება არ დაუტოვებია.

— ვერც ერთი ლექსი ვერ დაიტევს ფიდელის სახეს, — ამბობს ისიდორე, — ეს საოცარი ადამიანია. თავისუფლების კუნძულზე დავყავი ერთი წელიწადი. რამდენჯერმე მქონდა ბედნიერება შევხვედროდი ფიდელს, — ამბობს ისიდორე და ფურცლავს კუბიდან ჩამოტანილ გაზეთებს, დღიურებს, წიგნებს...

...ეს იყო 1961 წლის ივლისში. მსოფლიოს კოსმონავტი № 1 იური გაგარინი ეწვია ჰავანას. კუბა ყვავილების ერთ დიდ თაიგულად იქცა. მგზნებარე სიტყვით გამოვიდა მრავალათასეულთათვის მიტინგზე ფიდელ კასტრო. კასტრო ხიბლავს ადამიანს თავისი ორატორული ხელოვნებით. მე ესპანური არ მესმოდა, მაგრამ მჯეროდა ადამიანისა, რომელიც მგზნებარედ ელაპარაკებოდა თავის ხალხს. და ხალხს ესმოდა მისი. უდიდესი დამაჯერებლობა, წვა, რწმენა, ნატიფი ჟესტიკულაცია — ანდამატივით იზიდავს ადამიანს, ხოლო როცა კასტროს სიტყვას ვეცნობოდი საბჭოთა გაზეთებში, რომლებიც ჰავანაში მოგვდიოდა, მაოცებდა მისი რკინისებური ლოგიკის ძალა. გაგარინი და ფიდელი ეხვეოდნენ ერთმანეთს. ეს იყო სიმბოლო ორი ქვეყნის ხალხთა ურღვევი მეგობრობისა.

...1961 წლის აგვისტოში შეხვედრა გვქონდა ჰავანის უდიდეს კლუბში — ჩაპლინის კლუბში. აქ გაიმართა კუბის სოფლის მეურნეობის მუშაკთა თათბირი. ფიდელ კასტროს მოწვევით თათბირს ვესწრებოდით საბჭოთა სპეციალისტებიც. ფიდელს, როგორც ყოველთვის „ვივას“ შეძახილებით შეხვდნენ. კასტროს ძალიან უბრალოდ ეჭირა თავი სოფლის მშრომელებთან, რომლებიც მთავარ დამრტყმელ ძალას წარმოადგენენ კუბაში აგრარული საკითხის რევოლუციურად გადაჭრის საქმეში. ფიდელ კასტრო კუბის სოფლის მეურნეობის რეფორმის განმახორციელებელი ინსტიტუტის საპატიო პრეზიდენტია. თავმჯდომარე კი კასტროს ცნობილი თანამებრძოლი კარლოს რაფაელ როდრიგესია. ამ ინსტიტუტში მუშაობდა ეთერზეთოვანი კულტურების დარგში კონსულტანტად ქართველი აგრონომი ისიდორე ლომინაიშვილი.

ინსტიტუტის სატყეო და სუბტროპიკული კულტურების დეპარტამენტის უფროსმა ალვარო ბარბამ მადლობა გადაგვიხადა საბჭოთა სპეციალისტებს კარგი მუშაობისათვის — მათ შორის ახსენეს კუციას და ჩემი სახელი, — ამბობს ისიდორე, — დარბაზი ტაშის გრიალით შეხვდა ორატორის სიტყვას. ქართველ საბჭოთა სპეციალისტებს ტაშს უკრავდა ფიდელ კასტროც.

...დაუვიწყარია, — ამბობს ისიდორე. — 1962 წლის 14 თებერვალი. ხოსე მარტის ძეგლთან ჰავანაში გაიმართა მიტინგი, რომელშიც 1,5 მილიონმა კუბელმა მიიღო მონაწილეობა. ფიდელ კასტროს მოწვევით მიტინგის პრეზიდიუმში ვიყავით საბჭოთა სპეციალისტებიც.

— ერთხელ, — გვიყვება ზინაიდა ლომინაიშვილი, — ჰავანაში 25-სართულიან სახლში, სადაც ჩვენ 3-ოთახიანი ბინა მოგვცეს, მოვიდა ფიდელ კასტრო. მანქანა შესასვლელთან დატოვა და თვითონ ავიდა მე-12 სართულზე... იქ ცხოვრობდა კარლოს რაფაელ როდრიგესი — სოფლის მეურნეობის რეფორმის განმახორციელებელი ინსტიტუტის პრეზიდენტი. სახლში მცხოვრებნი აღფრთოვანებით მიესალმნენ კასტროს. დამშვიდობებისას კასტროს სურათი გადავუღეთ საბჭოთა სპეციალისტებმა. ისიდორე ლომინაიშვილმა სიამოვნებით გადმოგვცა ეს სურათი „კომუნისტში“ დასაბეჭდად.

სიამოვნებით იგონებს ისიდორე ლომინაიშვილი თბილისის „დინამოს“ ჩასვლას კუბაში. საბჭოთა ფეხბურთელები მიიღო კასტრომ. მიღებას ქართველი ინჟინერი კუციაც ესწრებოდა. ფიდელს აჩუქეს ქართული ყანწი. თავისუფალი კუბის ბელადმა სიამოვნებით მოირგო სვანური ქუდი და სურათიც გადაიღო.

ისიდორემ გადმოგვცა ფიდელ კასტროს სხვა სურათებიც.

— კუბაში იყვნენ „იზვესტიის“ რედაქტორი ა. აჯუბეი, მწერალი ბ. პოლევოი, სხვა საბჭოთა მოღვაწეები. ვხვდებოდით მათ საბჭოთა საკონსულოში. ისინი დაინტერესებული იყვნენ ჩვენი საქმიანობით. — საქმეები კი ბევრი გვქონდა, — ამბობს ისიდორე ლომინაიშვილი, — კუბაში ევკალიპტი გავაშენეთ პინალდერიოს, მატანსას, სანტაკლარას, ორიენტეს და სხვა პროვინციებში. საბჭოთა სპეციალისტების მეთვალყურეობით და კონსულტაციით კუბაზე 1961 წელს დაირგო 28 მილიონი ძირი ევკალიპტი, 1962 წელს კი — 46 მილიონი ძირი. ევკალიპტს კუბისათვის დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს. ეს არის სამშენებლო ხე-ტყის მასალა, მას იყენებენ სპილენძისა და ნიკელის შახტებში, გემთმშენებლობაში, სამედიცინო პრეპარატებისა და ძვირფასი ზეთის მისაღებად. ევკალიპტის მოშენება დიდი ხანი არ არის რაც დაიწყეს კუბაში. თესლი ბრაზილიიდან შემოჰქონდათ. ამჟამად კუბამ საკუთარი სათესლე ფონდი შექმნა საბჭოთა სპეციალისტების დახმარებით.

კუბას ოქროს ფასად შემოაქვს სხვა მცენარეული ზეთი.

აგრონომმა ი. ლომინაიშვილმა სპეციალური ბარათი ანუ, როგორც კუბაში იტყვიან, „სამეურნეო მემორანდუმი“ გაუგზავნა ფიდელ კასტროს ორ მინისტრს როდრიგესსა და ჩე გევარას. მასში აღძრულია ის საკითხი, რომ კუბაზე გაშენდეს ეთერზეთოვანი კულტურების გადამამუშავებელი ქარხანა, რომელიც გარდა ევკალიპტის გადამუშავებისა, პარალელურად



შეძლებს გერანის, რეჰანის, პაჩულის, ტუბეროზის და სხვა ეთერზეთოვანი კულტურათა ნაყოფის დამუშავებასაც. ქართველი საბჭოთა სპეციალისტების მემორანდუმს კუბის მთავრობა შეისწავლის და ალბათ ამ სასარგებლო წინადადებას კიდევაც განახორციელებს.

...ისევ დაუბრუნდა მშობლიურ შავიზღვისპირეთს ქართველი აგრონომი ი. ლომინაიშვილი. კუბაზე წასვლამდე ის გალის რაიონის ეთერზეთოვანი კულტურების მეურნეობის მთავარი აგრონომი იყო. დღეს ოჩამჩირის რაიონის სოფელ მერკულში ახალ მეურნეობას უყრის საფუძველს.

...შუახნის ჭაღარა კაცს ხელში უჭირავს გაზეთი უცხოური სახელწოდებით „ნოტისიას დე ოი“. სურათზე იღიმება კასტრო. ჩართულია მოსკოვი და ჰავანა: ეთერში ჰქუხს ამაყი სიტყვები: ვივა კუბა, ვივა ფიდელ!..

**ვლ. ალფენიძე,**
**ი. გობეჩია.**

## დაე მტკიცდებოდეს ყველა ქვეყნის მშრომელთა მოქმედების ერთიანობა მშვიდობისათვის, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში!

სკკპ ცენტრალური კომიტეტის საპირველმაისო მოწოდებებიდან.

# პირველი მაისი ჩინეთში

**პეკინი,** 30 აპრილი. (საკდესი). ლამაზი ტრანსპარანტებით, წითელი ალმებით, ტრადიციული ჩინური ფარნებით მოირთო პეკინის სამრეწველო საწარმოთა, დაწესებულებათა, სასწავლებელთა შენობები, ოქროსფრად ბზინავს იეროგლიფები „1 მაისი“, „გაუმარჯოს 1 მაისს!“. ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის დედაქალაქის მუშათა კლასი ახალი შრომითი წარმატებებით ეგებება მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულს. ქარხნებსა და ფაბრიკებში ფართოდ გაიშალა მოძრაობა წარმოების გადიდებისა და ეკონომიისათვის. პეკინის ახლოს მდებარე ძინსის შახტების მაღაროელებმა აპრილის 25 დღეში ამოიღეს 28 ათასი ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი.

მრეწველობასა და მშენებლობაში მოპოვებული წარმატებებით ეგებებიან პირველ მაისს ტიანძინის მშრომელები. საპირველმაისო შეჯიბრების მსვლელობაში პროდუქციის გამოშვება გაადიდა სალტის ქარხნის კოლექტივმა, ფოლადის ხარისხი გაუმჯობესდა ტიანძინის მეტალურგიულ ქარხანაში.

საპირველმაისოდ მორთულ-მოკაზმულია შანხაი — ჩინეთის ინდუსტრიული ცენტრი. ქალაქის ცენტრალური მოედანი ჟენმინი გუანჩანი მორთულია წითელი ალმებით, ტრანსპარანტებით, რომლებზეც წარწერილია საპირველმაისო ლოზუნგები. დღესასწაულისათვის მეორე ბამბის ფაბრიკის მუშებმა და მოსამსახურეებმა აითვისეს ახალი ქსოვილების წარმოება.

პირველი მაისი მოაბიჯებს ჩინეთის ამწვანებულ მინდვრებში. სოფლის მშრომელები სწრაფი ტემპით აწარმოებენ საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოებს.

# შეიარაღებული კონფლიქტი

### ამერიკის პრესა ჰაიტიში შექმნილი მდგომარეობის შესახებ

**ნიუ-იორკი,** 29 აპრილი. (საკდესი). ამერიკის პრესა ფართოდ აშუქებს ჰაიტისა და დომინგოს რესპუბლიკას შორის წარმოშობილ კონფლიქტს, რომელსაც მოჰყვა დიპლომატიური ურთიერთობის გაწყვეტა ამ ორ ქვეყანას შორის.

იუნაიტედ პრეს ინტერნეიშნლის სააგენტოს ვაშინგტონიდან მიღებულ ცნობაში აღნიშნულია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ გაიყვანონ ჰაიტის დედაქალაქიდან 1.500 ამერიკელი მოქალაქე.

ჰაიტის ნაპირებისაკენ მიდის ამერიკის სამხედრო-საზღვაო ფლოტი თითქოს იმ მიზნით, რომ „თავიდან აიცილონ ჰაიტისა და დომინგოს გემების შესაძლო შეტაკებანი“.

**ნიუ-იორკი,** 29 აპრილი, (საკდესი). დომინგოს რესპუბლიკის მთავრობამ გუშინ ჰაიტის საპროტესტო ნოტა გაუგზავნა იმასთან დაკავშირებით, რომ როგორც აღნიშნულია ნოტაში, ჰაიტის პოლიცია და ჯარისკაცები 27 აპრილს შეიჭრნენ დომინგოს რესპუბლიკის ჰაიტის საელჩოს შენობაში.

თავდასხმის დროს დააპატიმრეს ჰაიტის ოფიცრები, რომელნიც მონაწილეობდნენ დიუვალიეს მთავრობის წინააღმდეგ ახლახან გამოაშკარავებულ შეთქმულებაში და რომელნიც საელჩოში იმალებოდნენ.

დომინგოს რესპუბლიკის მთავრობამ მოითხოვა დაუყოვნებლივ გაიყვანონ საელჩოდან ჰაიტის პოლიცია და „აანაზღაურონ მიყენებული ზარალი“. ნოტა შეიცავს მუქარას, რომ „გამოიყენებენ საჭირო გადამწყვეტ ღონისძიებებს“ და დათქმულია ვადა 24 საათი წაყენებული მოთხოვნების დასაკმაყოფილებლად.

**ნიუ-იორკი,** 29 აპრილი. (საკდესი). ვაშინგტონში გუშინ გაიმართა ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციის საბჭოს სხდომა, რომელზეც განიხილეს ჰაიტისა და დომინგოს რესპუბლიკის კონფლიქტი.

საბჭომ ორივე ქვეყანას მოუწოდა შერიგდნენ და გადაწყვიტა კონფლიქტის მოსაგვარებლად სპეციალური კომისია გაგზავნოს ჰაიტისა და დომინგოს რესპუბლიკაში.



**ტემუკო,** ეს ქალაქი ჩემი სამშობლოს სამხრეთ ნაწილში, სადაც კვლავ ვიყავი ამას წინათ, ჩემი ხანგრძლივი ბავშვობის წლებში ყოველივე რეალურისა და ყოველივე გამოუცნობის განსახიერება იყო. ხანგრძლივი, იმიტომ ვამბობ, რომ წვიმებისა და სიცივის ზონაში დროის შეგრძნება იკარგება. სანამ სამხრეთ ჩილეში ხე გაიზრდებოდეს, შეიძლება საუკუნეებმა გაიაროს. ტემუკოში რომ დავბრუნდი, დავინახე, როგორ შეცვლილა ქალაქის ნაცნობი მიდამოები. მემამულეები ულმობლად წვავენ მშვენიერ ძველ ტყეებს. მათ სიხარბე ამოძრავებს: საჭიროა სწრაფად მზარდი ხეები, რომ მერქნით ივაჭრონ.

ბევრი აღარაფერი დარჩენილა აქ ჩემი ბავშვური ოცნების ქალაქისაგან. რა თქმა უნდა, ერთი ნაცნობი სახეც ვერ დავინახე. სხვა ბავშვები, სხვა მოხუცები, სხვა ადამიანები მიცქეროდნენ უცნობი თვალებით.

და მხოლოდ ერთი ძველი ნაცნობი უმალვე ვიცანი და მომეჩვენა, რომ იმანაც მომიგონა. ეს არის ხის დიდი ცხენი, რომელიც სარაჯის ძველ დუქანში დგას უნაგირებს, ტყავის ქამანდებს, გაბედულ მოჯირითეთათვის საჭირო უზარმაზარ დეზებსა და ფართო ქამრებს შორის.

მთელ ამ უამრავ წარმტაც საგნებს შორის მხოლოდ ხის დიდი ცხენის მინის თვალებმა კვლავ გაიტაცეს ჩემი ფანტაზია. იგი მიცქეროდა რაღაც სევდით, მან იცნო ჩემში წინანდელი ბავშვი, რომელმაც შემდეგ მთელი დედამიწა შემოიარა და ახლა დაბრუნდა, რომ მას მიესალმოს. ჩვენ ორივენი დავბერდით, და ბევრი რამ გვქონდა ერთმანეთისათვის სათქმელი.

იმ ტემუკოში, რომელიც ნახევარი საუკუნის წინათ დამახსოვრდა, კომერსანტები თავიანთი საქონლის შესახებ იუწყებოდნენ კარის თავზე მიკრული დიდი ემბლემებით. წერა-კითხვის უცოდინარი ინდიელები — არაუკანელები, რომლებიც თავიანთი შორეული და იდუმალი დასახლებებიდან ჩამოდიან, უცებ დაინახავენ, სად ლურსმანი იყიდონ და სად — ჩექმები. კუთხეში აღმართული უზარმაზარი ჩაქუჩი იტყობინება, რომ იქ ინსტრუმენტები იყიდება. რკინა-კავეულის დუქანს ვეებერთელა ცისფერი ბოქლომი ამშვენებს. მეჩექმეები მუშტარს კოლოსალური ჩექმებით იზიდავენ, ხოლო სამმეტრიანი ხის კოვზები აჩვენებენ, თუ სად შეიძლება იყიდო ბრინჯი.

მოკლეშარვლიანი დავდიოდი ამ გრანდიოზული ემბლემების ქვეშ, მათდამი უდიდესი პატივისცემით გამსჭვალული. ისინი არაჩვეულებრივი, უცხო და უცნობი სამყაროს ნაწილად მეჩვენებოდნენ. ასეთსავე გრძნობას იწვევდნენ გიგანტური გვიმრები და ქალაქგარეთ მაღალი ხეებიდან ჩამოკიდებული ლიანები. ისინი ისეთივე მოვლენები იყვნენ, როგორიც ქარიშხლები, რომლებიც უბადრუკ ხის სახლებს აზანზარებდნენ, და ვულკანები, რომლებიც უეცრად იწყებდნენ ცეცხლის სიმღერებს.

# ხე და საუკუნე

პაბლო ნერუდა

სულ სხვაა ცხენი სარაჯის დუქანში. ყოველ დღეს, სკოლაში რომ მივდიოდი, დუქნის ფანჯარასთან შევჩერდებოდი. მინდოდა დავრწმუნებულიყავი, რომ ცხენი ისევ ადგილზე დგას და ქუჩაში არ გამოუტანიათ. მას ნამდვილი ტყავი ჰქონდა შემოკრული, ნამდვილი ფლოქვები, ფაფარი და კუდი ჰქონდა, მეტად კარგი იყო, ცოდვა იყო მისი გამოტანა ცივ ქარში, ყინულივით წვიმაში. დუქანში თავშეფარებული იდგა იგი ძალიან დინჯად, ამაყობდა თავისი მბზინავი ტყავითა და პირველხარისხოვანი აკაზმულობით. რაკი დავრწმუნდებოდი, რომ იქვე იყო და მთებში არ წასულიყო, შევიდოდი და მაშინ კიდევ პატარა ხელს გადავუსვამდი პრიალა დრუნჩზე, ხის დიდმა ცხენმა იცოდა, რომ კარგ დარშიც და წვიმაშიც პატარა მოსწავლე უთუოდ მოვიდოდა და მოეფერებოდა. არაერთხელ ამომიკითხავს ეს მის მინის თვალებში.

ქალაქი იმდენად შეცვლილა, რომ გეგონებოდა, ძველი ქალაქი სადღაც გადასულა. ზამთრისფერი ხის სახლები მეტად მოსაწყენი ცემენტის მრავალსართულიან სახლებად გადაქცეულან. ქუჩებში მეტი ხალხია. ნაკლები ცხენი და ოთხთვალა ჩერდება რკინა-კავეულის დუქნების კარებთან.

ეს ჩილის ერთადერთი ქალაქია, რომლის ქუჩებშიც არაუკანელებს შეხვდებით. ინდიელ ქალებს მუქ-ლურჯი თავშლები მოუხვევიათ, ინდიელ მამაკაცებს — შავი პონჩო, რომელზეც ამოქარგული უცნაური თეთრი ორნამენტი ელვას მოგაგონებთ. წინათ მხოლოდ იმისათვის ჩამოდიოდნენ, რომ გაეყიდათ თავიანთი სადა საქონელი — ხამი ქსოვილები, კვერცხი, ქათმები — და ცოტა რამ ეყიდათ ქალაქის დუქნებში.

დიახ, ბევრი რამ შეცვლილა. მთელი ქალაქი შეიკრიბა სტადიონზე ჩემი ლექსების მოსასმენად. კვირა დილა იყო, და ხალხით გაჭედილ სტადიონს ზანზარი გაჰქონდა ბავშვთა ხმაურისა და სიცილისაგან. ბავშვები ორატორებისათვის სიტყვის გაწყვეტინების დიდი ოსტატები არიან. არ არსებობს ისეთი პოეზია, რომ გაუძლოს, როცა ატირდება ძუძუთა ბავშვი, რომელსაც უეცრად გაახსენდა, რომ დროა დანაყრდეს. ტაშის გრიალში ავედი სცენაზე. თან ერთგვარ სიმპათიას ვგრძნობდი იროდისადმი, უმწეო ყრმათა ხოცვა რომ მოაწყო. და უეცრად სრული სიჩუმე ჩამოვარდა. დუმილში გაისმა და გაიზარდა ჩვენი პლანეტის ყველაზე უცნაური, ყველაზე ძველი დასაბამიდან მომდინარე, ყველაზე უხეში მუსიკა.

ეს იყვნენ არაუკანელები, რომლებიც თავიანთ ინსტრუმენტებს უკრავდნენ და ჩემს პატივსაცემად მღეროდნენ თავიანთ სევდიან მელოდიებს. მოხდა რაღაც უმაგალითო. ჩემმა პირქუშმა თანამემამულეებმა თავიანთი რიტუალური სიმღერებით მონაწილეობა მიიღეს პოეტურ და პოლიტიკურ ღონისძიებაში. ვერასოდეს ვერ დავიჯერებდი, რომ ასეთ რამეს დავესწრებოდი; და ინდიელთა გამოსვლა ჩემდამი, კომუნისტისადმი რომ იყო მოძღვნილი, ეს კიდევ უფრო ზრდიდა ჩემს აღელვებას.

თვალცრემლიანი ვისმენდი მელოდიას, რომელსაც ტყავის ძველ დოლებსა და გიგანტურ ფლეიტებზე ასრულებდნენ. ყრუ და ამავე დროს მჟახე, მონოტონური და გულშემზარავი, ეს მელოდია ჰგავდა წვიმის ხმას ქარიშხალში, ისტორიამდელი მხეცის გმინვას მიწისქვეშა გამოქვაბულში.

...არაუკანია, ანუ ის, რაც კიდევ დარჩენილა მისგან, ამოძრავდა, იღვიძებს საუკუნოვანი ძილისაგან და სურს მონაწილეობდეს მსოფლიო საქმეებში, რაც დღემდე აკრძალული ჰქონდა.

მინდვრებმა სახე იცვალეს. მთებში ტყეები გაქრა. მწვერვალები გაშიშვლდნენ, დედამიწის ჩონჩხი გამოჩნდა. ეროზიამ სიბრალული არ იცის. ბევრი ძველი სახლი და ნაგებობა მიწისძვრამ დაანგრია. დრო მიდის, მაგრამ, გარდა ქალაქების ცენტრალური კვარტალებისა, ადმინისტრაციული და არისტოკრატიული რაიონებისა, აღდგენითი სამუშაოები არსად არ წარმოებს.

ზოგიერთ ახალდასახლებულ პუნქტში, რომლებიც ეს არის აუშენებიათ და მიმზიდველი ფერებით შეუღებავთ, გამოკრულია პლაკატები, რომლებსაც თეთრ ფონზე შავი ასოებით აწერია: „ეს სოფელი აღდგენილია ამერიკელი ხალხის ფულით“. ჩილის ბევრი ქვეყანა დაეხმარა უკანასკნელი საშინელი მიწისძვრის შემდეგ, მაგრამ მარტო ამერიკელები იკვეხნიან თავიანთ ქველმოქმედებას. ამასთან ისინი, რა თქმა უნდა, დუმილით უვლიან გვერდს იმას, რომ იმ მოგებით, რაც მათ აქ სპილენძის მოპოვებით მიუღიათ, შეიძლებოდა ხელახლა აშენებულიყო ყველა ქალაქი, ყველა გზატკეცილი და რკინიგზა, ყველა ხიდი და ფაბრიკა, ე. ი. ყველაფერი, რაც ადამიანს ჩემს ქვეყანაში აუგია მთელი მისი ისტორიის მანძილზე.

...მომინდა გამოვთხოვებოდი ჩემს ძველ მეგობარს, კვლავ გადავუსვი ხელი ხის დრუნჩზე და უცებ შევნიშნე, რომ იმ ადგილას, სადაც ჩემი ხელი შეეხო, ტყავი გაცვეთილა და უკვე იგრძნობა ხე.

თითქოს ხელით შევეხე ბებერი ცხენის სულს. ყოველთვის ვფიქრობდი, რომ ბავშვობაში მარტო მე მქონდა სურვილი ხელი გადამესვა ცხენისათვის სარაჯის დუქანში, მაგრამ იმან, რაც აღმოვაჩინე, ცხადი გახადა ჩემთვის, რომ ბევრი, ძალიან ბევრი ბავშვი ამასვე აკეთებდა, როცა ჩემს შემდეგ გაივლიდა ამ ქუჩაზე სკოლისა და შინისაკენ.

და მივხვდი, რომ, თუმცა ეს მხოლოდ ხის ბებერი ცხენია, ვეებერთელა სამყაროს მიყრუებულ პატარა ქალაქში მიკარგული, მასაც შეუძლია ჰქონდეს სითბოსა და ალერსის სურვილი, იმ ბავშვთა ალერსისა, მას რომ ჩაუვლიან ხოლმე დიდ ცხოვრებაში მიმავალ გზაზე.

...სანამ მიცქერის ბებერი უძრავი ცხენი, რომელსაც ამდენი ცვლილება უნახავს, მინდა ვუამბო, რა ცვლილებები მოხდა თვითონ ჩემში.

ჩემო ძველო მეგობარო! ამ ქალაქიდან რომ მივდიოდი, მაშინ ვწერდი ლექსებს სიყვარულსა და ღამეზე, აღელვებულ სიმღერებს, რომლებიც ჩემში იბადებოდა, როგორც პურეულის ნელი თესლი. როგორც ფარული წყლები, რომლებიც ამ მთებს ქვეშ დიან. გეტყვი, ცხენო: ჩემი პოეზია ადგილზე კი არ იდგა, არამედ წინ მიდიოდა. იგი გაიმურა ქალაქების კვამლით, ალაპარაკდა სახალხო კრებების ენით. ახლა იგი იარაღსა და დროშას წარმოადგენს.

მე კმაყოფილი ვარ, ჩემო ძველო მეგობარო.

მე არ მინდა, რომ არქივს გადამცენ მინდა დაუსრულებლად ვიბადებოდე. განუწყვეტლივ ვიზრდებოდე. მაგრამ ისევე გულში ჩამწვდომად, როგორც წინათ მინდა ვმღეროდე წვიმასთან და მიწასთან ერთად. დაგიბრუნდი, ძველო მეგობარო, რათა მოგახსენო, რომ შევიცვალე და ამავე დროს ისეთივე ვარ, როგორიც წინათ ვიყავი.

ჩილი, 1963 წ.

# ლორდი ჰიუმი გოდიშს იხდის...

**ლონდონი,** 30 აპრილი. (საკდესი). აქ ცნობილი გახდა, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰიუმმა „დიდი ბოდიში“ მოუხადა საბერძნეთის დედოფალს ფრედერიკას იმასთან დაკავშირებით, რომ ლონდონში დედოფლის ყოფნის დროს სასტუმროს წინ, სადაც იგი ჩამოხდა, ინგლისის პროგრესულმა ორგანიზაციებმა დემონსტრაციები გამართეს და მოითხოვეს ბერძენი პოლიტიკური პატიმრების, კერძოდ, საბერძნეთის პროფკავშირული ლიდერის ანტონიოს ამბატელოსის განთავისუფლება, რომელიც უკვე 16 წელია საბერძნეთის ჯურღმულებში იტანჯება.

საბერძნეთის დედოფალმა, რომელიც ჯერ კიდევ ლონდონშია, გუშინ არ მიიღო საბერძნეთის პარლამენტის დეპუტატი ლამბრაკისი, რომელიც სპეციალურად ჩამოვიდა ლონდონს რათა მიაღწიოს ანტონიოს ამბატელოსის განთავისუფლებას.

## „მოგვეცით მიწა!“

**სტამბოლი,** 29 აპრილი. (საკდესი). თურქეთის სამხრეთი რაიონების დაახლოებით ორი ათასმა უმიწაწყლო გლეხმა გუშინ დემონსტრაცია გამართა ქალაქ ატანაში. მათ მოითხოვეს დაუყოვნებლივ მოხდეს მიწის რეფორმა და პროტესტი განაცხადეს კულაკების ძალმომრეობის წინააღმდეგ სოფლად. „თურქი გლეხი მონა არ უნდა იყოს“, „ბოლო მოეღოს კულაკობას“, „გლეხი უმიწაწყლოდ ვერ იცოცხლებს“, — გლეხებმა ასეთი ლოზუნგებით დაიარეს ქალაქის ქუჩები.

თურქი გლეხობის ასეთი დიდი გამოსვლა თავისი უფლებებისათვის პირველად მოხდა.

## მემარცხენე ძალების დიდი წარმატება

**რომი,** 30 აპრილი. (საკდესი). იტალიის შინაგან საქმეთა სამინისტრომ გამოაქვეყნა სენატის არჩევნების შედეგების საბოლოო მონაცემები ყველა საარჩევნო ოლქის მიხედვით, გარდა სამისა. ამ მონაცემების თანახმად, დიდი წარმატება მოიპოვეს იტალიელმა კომუნისტებმა, რომლებმაც მიიღეს 6.990.441 ხმა (იმ პირთა 25,5 პროცენტი, ვინც ხმა მისცა). 1958 წლის არჩევნებში კომუნისტურმა პარტიამ მიიღო 5.700.952 ხმა (21,8 პროცენტი). სოციალისტებმა მოიპოვეს 3.850.685 ხმა, ანუ 14 პროცენტი (1958 წელს — 3.687.708 ხმა, ანუ 14,1 პროცენტი). 1958 წელთან შედარებით (1.136.803 ხმა) გაცილებით მეტი ხმა მიიღეს სოციალ-დემოკრატებმა — 1.738.558.

შესამჩნევად შემცირდა იმ პირთა რიცხვი, ვინც ხმა მისცა ქრისტიანულ-დემოკრატიულ პარტიას, რომელმაც მიიღო 9.569.739 ხმა, პლუს 636.063 ხმა იმ ოლქებში, სადაც რესპუბლიკელებთან ერთად გამოდიოდა (სულ 37,2 პროცენტი), მაშინ როცა ქრისტიანმა დემოკრატებმა 1958 წელს მიიღეს 10.780.954 ხმა (41,2 პროცენტი).






## ჩვენი მკითხველები და კორესპონდენტები გვატყობინებენ

# სიახლენი სამაისოდ

### ქუჩების ახალი სიცოცხლე

### ახალი ბინები

[illegible]

ფართოეს ქალაქის საზღვარი, ახალი კორპუსების მომატებასთან ერთად პროსპექტიც გაგრძელდა. თუ ქუჩა აქამდე III კვარტალს ითვლიდა, სამაისოდ იგი VI კვარტალამდე გაიზარდა.

დიდი სამუშაოები მიმდინარეობს ანაგის ქუჩაზე, კინოთეატრ „გაზაფხულთან". ახლა ეს ადგილი უკვე მოასწო-[illegible]

### პოლიკლინიკა, საბავშვო ბაღები, ბაგები

რუსთაველის პროსპექტის დასაწყისში საპირველმაისოდ მშენებლებმა დაამთავრეს აეროფლოტის სააგენტოს შენობა.

ლენინის რაიონის სარემონტო კანტორამ ლოტკინის მთაზე ვადაზე ადრე დაამთავრა პოლიკლინიკის მშენებლობა. აქ მალე მიიღებენ პირველ პაციენტებს.

მშენებლებმა საპირველმაისოდ საუკეთესო საჩუქრები მოუმზადეს ჩვენს პატარებსა და მათს მშობლებს. 26 კომისრის რაიონში მესამე მასივში დაამთავრეს კეთილმოწყობილი 135-ადგილიანი საბავშვო ბაგა-ბაღის მშენებლობა. ამ დღეებში ასეთივე ტიპის ახალი საბავშვო ბაგა-ბაღი გაიხსნება დიღმის მასივში.

ახალი საბავშვო ბაღის ლამაზი შენობა შეემატა კიროვის რაიონს მიასნიკოვის ქუჩაზე. შენობა გათვალისწინებულია 100 ბავშვისათვის. ასეთივე ბაღები გაიხსნება ბარნოვის ქუჩასა და ავჭალის გზატკეცილზე.

## სასიხარულო ამბები

□ კიდევ ერთი სიახლე დახვდებათ წელს მოაგარაკეთ სურამში. რკინიგზის სადგურთან აგეს კოხტა შენობა. ეს მშენებელთა საპირველმაისო საჩუქარია.

ახალ შენობაში მოთავსდება კავშირგაბმულობის განყოფილება — ფოსტა, ტელეგრაფი, გაზეთების ექსპედიცია, საქალაქთაშორისო სატელეფონო სადგური. შიდასადაბო მომსახურებისათვის გათვალისწინებულია დაიდგას ატს-ი. („კომუნისტის" კორ.).

□ თელავი. (საკ. კორ.). დაბა ახმეტაში არსებული ძველი პურის საცხობი მოთხოვნილებას ვერ აკმაყოფილებდა, პურს თელავიდან ეზიდებოდნენ. ცეკავშირმა ახმეტაში ააგო ნახევრად მექანიზებული პურის საცხობი, რომელიც დღეში რვა ტონა პურს უშვებს.



ერთ ძმურ ოჯახში.
ფოტოეტიუდი შ. ჩხეტიანისა.

## მაისი ვარ!

მე ვარ, მოვდივარ პირველი მაისი,
ლურჯი ცის ღიმილი და მიწის ვარდობა.
ეს მე ვარ — სიცოცხლე, ეს მე ვარ — ხალისი,
მამულის სიმღერა და ახალგაზრდობა.
ეს მე ვარ — მაისი, მერცხლების ნავარდი,
ტყეების სიმწვანე, ფერების სიუხვე.
ეს მე ვარ — სამშობლოს ულეული ლაჟვარდი,
ეს მე ვარ, ვაცოცხლებ მთებსა და ჭიუხებს.
ეს მე ვარ — შრიალი წითელი დროშების,
ეს მე ვარ — ცაზე რომ შუქურად ანთია,
ეს მე ვარ — ოცნებით ნაგები კოშკები,
ღიმილით გავცქერი სამშობლოს განთიადს.
ეს მე ვარ, მე ვარ — შენი მზის ალერსი,
მე შენი სუნთქვა ვარ და შენი ხალისი.
მამულო ძვირფასო, გაშალე მკლავები,
მიცანი, მოვდივარ წითელი მაისი!

**დ. ხახიაშვილი.**
ონი.



## ზეიმობენ ნორჩები

გუშინ, 30 აპრილს, ნორჩმა რკინიგზელებმა ზეიმით აღნიშნეს საბავშვო რკინიგზის არსებობის 28-ე წლისთავი. ბავშვების ჟრიამულმა გამოაცოცხლა პარკი. ვის არ ნახავდით აქ. ყველას სურდა მიეღო მონაწილეობა ამ დღესასწაულში.

ნორჩ რკინიგზელებს მოუწვევიათ თავიანთი უფროსი კოლეგებიც.

გაიმართა საზეიმო სხდომა. რამდენიმე ნორჩი რკინიგზელი დააჯილდოვეს სიგელებით და ფასიანი საჩუქრებით. სხდომის დასასრულს გაიმართა კონცერტი ბავშვების მონაწილეობით.

დღის თორმეტ საათზე პატარა მგზავრებმა ბაქანზე მოიყარეს თავი. მალე ვაგონები მხიარული მგზავრებით აივსო. გაისმა საყვირის ხმა. მატარებელმა დატოვა სადგური „პიონერი" და სადგურ „სიხარულისაკენ" გაემართა.

პატარების ზეიმი მშრომელთა ძმობისა და სოლიდარობის დღეს — 1 მაისს დაემთხვა. ნორჩმა რკინიგზელებმა ამ დღის აღსანიშნავად ააგეს აუზი, რომელსაც მეგობრობის აუზი უწოდეს.

**ც. ჩაჩანიძე.**

**სურათზე:** ზეიმის მონაწილე პიონერთა ერთი ჯგუფი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.



## სამგზავრო-საბაგირო გზა

**ჭიათურა.** (საკ. კორ.). შახტმშენის ჭიათურის სამმართველომ დაამთავრა ახალი სამგზავრო-საბაგირო გზის მშენებლობა, რომელიც ქალაქის ცენტრს გ. მუხაძის ქუჩასთან აკავშირებს. პროექტის ავტორია საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერ-გამომგონებელი გ. ფანცულაია.

საბაგირო გზის ვაგონი ოც მგზავრს იტევს. იგი პირველი მაისიდან მოემსახურება მარგანეცის ქალაქის მშრომელებს.

**სურათზე:** სამგზავრო-საბაგირო გზის ვაგონი.

ფოტო ვ. ხარატიშვილისა.

# გულები და ყვავილები

**ყ**ვავილებო, ჩემი მამულის მშვენიერო, მზისა და სიცოცხლის მოტრფიალე ყვავილებო!

გაზაფხული მოსულა, და თქვენც სიამით გაგიშლიათ ფრთები თვალთა სახიბლავად, გულთა გასახარად. თქვენ ახლა ისეთი კარგი ხართ, რომ ვაჟაური სიტყვის ჩანჩქერი გინდათ შესამკობად, სადიდებლად.

მაგრამ ნუ დამძრახავთ, თუ უბრალოდ გეტყვით; თქვენ ხომ ადამიანის ლამაზი მეგობრები ხართ ჭირსა და ლხინში. გაიშლებით, გაიფურჩქნებით, მშობელ ქვეყანას ალამაზებთ ბუნების მადლით, აფერადებით.

ჩემო ციმციმა ყვავილებო! ვიცი, რომ თქვენ ნიავსაც უყვარხართ. ამოიჭრება, ჩამოგიქროლებთ, უცებ გნახავთ მთაში თუ ბარში, კლდეზე თუ ხეობაში, კორდზე თუ მდელოზე, ხეზე თუ ბუჩქზე.

თქვენი პოვნა ძნელი როდია. თქვენ ყველგან ხარობთ, და, ცხადია, შეუმჩნეველი არ დარჩებით ლაღად მოარულ ნიავს. მოვა, ყველას ერთბაშად შემოგივლით, ფაქიზად შეგარხევთ, რომ თქვენი ჩუმი ჩურჩულიც ისმინოს და საამო სურნელებაც მოიტაცოს მშობელ მიწაზე მიმოსაფრქვევად.

ახლა წვიმის ამბავს არ იტყვით, ჩემო კარგო ყვავილებო! აგრუხუნდება ცა, გაიელვებს, პირს მოუშვებს და წვიმაც წამოვა შხაპუნით.

წვეთების გალობით იჟუჟუნებს წვიმა. ქარის მოტანილ მტვერს ჩამოგბანთ, ღრუბლების სუფთა ცრემლებს გაპკურებთ, დაგასველებთ თავით ფეხთამდე. პაწაწინა ფესვებსაც გაგილბობთ, რომ სული მოითქვათ, გამოცოცხლდეთ, იოლად დასძლიოთ სიცხე, უვნებლად აიტანოთ ზაფხულის ალმური და პაპანაქება.

ქარი გაშინებთ, სეტყვა ხომ სიცოცხლეს გისპობთ, ჩემო მშვენიერო ყვავილებო! ამიტომ არ გიყვართ ისინი! ქარი წელში გაგტეხთ, მიგჩეჩქვავთ-მოგჩეჩქვავთ და ისე წაგხრით მიწაზე, რომ შეიძლება ვერც ასწიოთ თავი.

სეტყვა ხომ მართლა საშინელებაა. ღმერთმა აგაშოროთ ეს ავი სტუმარი. არავის არ ინდობს, არც დიდს, არც პატარას. მოვა, დასცხებს ცეროდენა ყინულის ტყვიებს და წყალში ჩაყრის კაცის ამდენ ნაამაგარს, გაანადგურებს ვენახებს, ყვავილებს, ხეხილს, და ბევრჯერ შინაურ საქონელსაც, თუ მიუსაფარ ადგილს მოუსწრო და თავისი რისხვა გამოაჩინა.

დაილოცოს ისევ ეს ჩვენებური, მცხუნვარი მზე, ვარდისფრად რომ შეღებავს ცისკარს და მერე მთელი დღე ეხხივოსნება ამ ვარდებს, მიხაკებს, ყაყაჩოებს, ია-იებსა და იასამფერებს.

და განა მარტო მათ! მზე არ ივიწყებს კლდეზე განაბულ მოცხვარს და ღელის პირად ამოსულ წყალნაწყენსაც, თუმცა რა ჰქონდა საწყენი, რომ წყალთან შეზრდილ მცენარეს ქართველმა კაცმა წყალნაწყენა უწოდა!

მზე დილიდან ეალერსება ნარინჯისფერ ქვაპურას, თუ თეთრ ქუთუთას, ოფოფასა და ვარსკვლავას, წითელ შავთარას, ყვითელ თუთუბოს, და ნაირფერ ყაყაჩურას, ვაშლანას, ჩიტაკომშას, ჩიტის იას, ტიტას, ყარლანს, ჩარანს, მათუთას, ჯიჯიბერას, ჭიოტას, მურყანს, იფნურას, აბზინდას, მატატელას, ტბებში მონარნარე ფრთაფოთოლას და ვინ მოსთვლის კიდევ რამდენ შესანიშნავ ყვავილს. ჩვენდა სასიამოდ რომ იზრდება ამ ბარაქიან მიწაზე!

საქართველოში ყვავილებს გააჩნიათ უამრავი ეროვნული სახელი. ძველმა ბერძნებმა და რომაელებმა ყველა ყვავილსა და მცენარეს, რაც კი ბიზანტიისა და რომის იმპერიაში არსებობდა, თავიანთი სახელები მისცეს, საერთაშორისოდ განმტკიცდა და აღიარებულია მცენარეთა ლათინური სახელწოდება. ახლა ლათინური ენა მკვდარი ენების რიცხვში მოექცა. იგი მხოლოდ აკადემიკოსებსა და გამოჩენილ ბოტანიკოსებს შემორჩათ მცენარეთა ჯვარეობის დასადგენად და სამკურნალო წამლების შესადგენად.

როგორც ვთქვით, ცოტაა ქვეყანა, სადაც ყვავილსა და სხვა მცენარეს, იქნება იგი დეკორაციული თუ სამეურნეო, თავისი ეროვნული სახელი ჰქონდეს. ამ მხრივ, საბედნიეროდ, ყვავილებისა და ხეების საკუთარი, ეროვნული სახელებით შეუძლია იამაყოს საქართველომ.

ეს მხოლოდ გაკვრით. ახლა ისევ თქვენ, ჩემი მამულის ყვავილებო, თქვენ უნდა დაგიბრუნდეთ. იცოდეთ, რომ მადლიანი ბუნების წყალობით თქვენ არც ნიავი, არც წვიმა, არც მზის კაშკაში გაკლიათ ამ მშვენიერ მხარეში, ჩვენი ნატვრის დიდ ყვავილნარში — საქართველოში.

გაზაფხული, მარად საყვარელი, ტკბილი გაზაფხული. ახლა ერთად ზეიმობენ ჩვენი გულები და ყვავილები. და რომ ეს ასეა, ამას გვიმტკიცებს გაზაფხულის თვალისჩინი — მაისი.

წელიწადის ამ უმშვენიერეს თვეს ჩვენმა წინაპარმა თავისი სამშობლოს სილამაზის შესაფერისი სახელი, ყვავილთა მეუფის — ვარდის სახელი მისცა და ვარდობისთვე უწოდა. ზეიმით იწყება ვარდობა ჩვენში და მერე როგორი ზეიმით!

მსოფლიოს ხალხებმა უფრო გაალამაზეს, ყველა ქვეყნის მშრომელთა ძმობისა და მეგობრობის დღესასწაულად აქციეს ისედაც ლამაზი თვის — ვარდობისთვის პირველი დღე — პირველი მაისი.

. მაისიაო! — შრიალებენ ბაირაღები...

— მაისიაო! — ჩურჩულებენ ვარდყვავილები...

და თუ რაზე ჩურჩულებენ, მოდი, ვნახოთ მცხეთა, ვნახოთ სვეტიცხოვლის მრავალსაუკუნოვან კედლებთან მოჩახჩახე მეზობელი, საქვეყნოდ განთქმული სახალხო დეკორატორის მიხეილ მამულაშვილის ანუ, როგორც აქაურები ეძახიან, პაპა მიხოს ბაღი.

ოთხმოცდა ცხრა გაზაფხულის მომსწრეა მიხეილი. წელში მოხრილა, ჯანი შელახვია, შრომას მაინც არ ეპუება. ამ ასაკის მოხუცებს კრიალოსანი უჭირავთ ხელში და მარცვლების თვლით ერთობიან. პაპა მიხო კი წითელ-ყვითელ და იისფერ კრიალოსანს უვლის. მთების ყვავილია, მაგრამ უმთობას ვერ გრძნობს ამ ზღაპრულ ბაღში.

ახლა ვარდებსა და მიხაკებს, იასამფერებსა და ბეგონიებს იკითხავთ ალბათ! ო, მათ ვინ დათვლის! ან რომელს გამოარჩევ მათგან, ერთმანეთზე ულამაზესნი არიან.

ათას ასზე მეტი ჯიშის ყვავილი გამოუყვანია პაპა მიხოს თავის ნაამაგარ ედემში. აქ ნახავთ სამყაროს ყველა მხარის ყვავილებს. ზოგს ქართული სახელი შეარქვა ყვავილების პატრიარქმა, ზოგს კი ლათინური დაუტოვა, როგორიც არის ნასტურცია, ცერეუსი, ტრადისკაცია და მისთანანი, ენის გასატეხი სახელები.

ვაჟამ ბუნების ლეგენდარული მესაიდუმლე, ფოთლებთან და ბალახ-ბულახთან მოუბარი მინდია შეგვაყვარა, მაგრამ რომელი მინდია შეედრება პაპა მიხოს უასაკოთ და უსულოთ შორის საიდუმლო ენის გაგებაში! პაპა მიხომ სული ჩაუდგა, თავის პირვანდელ ადგილსამყოფელ გარემოში მოაქცია საქართველოს ყველა კუთხის ყვავილი.

მებაღის უბადლო მზრუნველობით არცერთი ყვავილი არ გრძნობს თავს უთვისტომოდ და ობლად. მცხეთის ბაღში ისე ხარობენ არჯაკელი, თირო, ენძელა, ფუნთუშა, იალღუნი, გვირილა, ბუშტარა, რეზედა, ქაფუნა, წაბლისფერა, დეკა, ქოთანა, პირთეთრა, ლამაზა, საპონა, ტუხტი და ასობით სხვა სახელის ქართული ყვავილი, [illegible] ისინი ტყეველად, კორდებზე, მდელოზე, ტბათა და მდინარეთა ნაპირებ[illegible] იფურჩქნებიან, ინაზებიან და [illegible] თვალს ატყვევებენ.

ყველაფერს [illegible], მაგრამ კამეჩის რქაში [illegible] თავს ამოყოფდა, ეს ვერ [illegible]! პაპა მიხოს გამოუყენებელი [illegible] დარჩენია თავმოტეხილი ბოთლიც, ხის ტოტიც, ფუტუროვანი მორიც და კლდის ნატეხი ქვებიც. ყველგან, სადაც კი ამაგდარ მოხუცს მიწის დამაგრება მოუხერხებია, შესატყვისი ყვავილიც ჩაურგავს და შესანიშნავად გაუხარებია. აი რას ნიშნავს საქმის უსაზღვრო სიყვარული.

პატარაა, შეიძლება ითქვას ხელისგულზე დაეტევა მიხოს სამოთხე. გიკვირს და არ გჯერა კიდეც, როგორ გაახარა და ამრავლა ერთ ციცქნა მიწაზე ამდენი იშვიათი საუნჯე ჯაფითა და ამაგით წელში მოხრილმა, ამ პატარა, მაგრამ ყვავილების ელვარებით გულგახარებულმა კაცმა!

— საქმეს სული და გული უნდა, შვილო! — გესმის მისი სიტყვები, და მეტ ლაპარაკს არც გაგიბამთ, პირდაპირ საქმეს მიხედავს ხოლმე. განა ცოტა აქვს გასაკეთებელი!

— გაზაფხულია, ყველაფერი ახლა უნდა მოვასწრო, თორემ შემდეგ ვინ მოიცლის, ყოველდღე ერთი ლეგიონი მნახველი მოდის. სტუმარსაც უნდა თვალყური. აბა რა ვქნა! შორეული აღმოსავლეთიდან, ევროპიდან, ამერიკიდან, აფრიკიდან და ვინ იცის, საიდან არ მოდიან აქ. თუ ვინმეს საქართველოსკენ ფეხი დაუცდა, ჯვარი და სვეტიცხოველი უნდა ნახოს, საგურამოს მოივლის და ბოლოს ჩემს პატარა ბაღსაც მოინახულებს. მართალი გითხრათ, ეს არ მწყინს, პირიქით, მიხარია, მაგრამ უფრო ბედნიერად ჩავთვლიდი თავს, რომ ახალგაზრდობამ აიღოს მაგალითი, გამოუჩნდეს მეყვავილეობას გულისხმიერი ქომაგი, — ასე გადმომცა გულისნადები ქართული ყვავილების ჭაღარა სარდალმა.

ამ ტორისხელა ედემმა ფიქრით საქართველოს ყველა კუთხე მომარბენინა. გაზაფხულია ახლა, და ოცნებით დავსეირნობ ქართლის ხეხილში, კახეთის ზვრებში, მესხეთისა და იმერეთის ბაღ-ვენახებში, სვანეთისა და რაჭა-ლეჩხუმის ტყეებში, გურია-სამეგრელოს პლანტაციებში, აჭარისა და აფხაზეთის ნარინჯოვანთა ბაღებში. არ მავიწყდება არც ჩემი მთიანეთი, სადაც გაზაფხულის ცხრათვალა მზეს თოვლი დაუდნია და ჩამონადენი ღვართქაფით აუდიდებია წყალმშფოთვარე მდინარეები.

ვხედავ, თვალწინ მიდგას არაგვის, ლიახვის, ივრის, ენგურის, კოდორის ატეხილი ზვირთების სრბოლა ბარისაკენ, მტკვრისაკენ, რიონისაკენ, ზღვისაკენ... წყლებს აუშლიათ მთების სასთუმლები და ზარით, ღრიალით მოეშურებიან დაბლობებში გასავაკებლად. ტანი შეივსეს პატარა ნაკადულებმაც და ტკბილი რაკრაკის ნაცვლად ჩხრიალი მორთეს მთახეობებში.

ასეთია გაზაფხულის სტუმრობა. იგი მარტო წყალთა გაგიჟებით როდი დაწყებულა. ჯერ იყო და ია-ენძელამ გაუხსნა კარი. ნუშმა, ტყემალმა, ვაშლმა და ატამმა შტოების აფერადებით გვამცნო წელიწადის შესანიშნავი დროის მობრძანება. შემდეგ მწვანე ხანძარი გაუჩნდა ტყეებს, მდელოებსა და მინდვრებს და მთელი ხმით აამეტყველა გუგული „კაფეთესს" საძახებლად. ყველგან დათბა. მზეს შეწკრიალა ტოროლამ ცისკრის საგალობელი.

გაიღვიძეს ზამთრის საბურველახდილმა ხეებმა. სითბო იგრძნო თელავის უძველესმა ჭადარმა და ალაზანს გადახედა ახლადამწვანებული ჭმუხა რტოებით. ვინ იცის, რამდენჯერ ისხამენ ეს განიერი რტოები ფოთოლს. ის კი ვიცით, რომ ამ ჭადართან ოდესღაც მდგარა მეფე ერეკლე და კავკასიონს გასცქეროდა სამშობლოს ბედით გულდაკოდილი.

ნირი უცვლია, ახალ სიცოცხლეს იწყებს რუსთაველის დროინდელი კაკლის ხე მარტყოფში. მართლაც ისტორიული ხეა. ეს უზარმაზარი კაკალი. მრავალი დროჟამის მოწმე დგას და ახლაც უხვად ისხამს ნაყოფს რესპუბლიკის ძველი ხეების ეს მართლა ბერმუხა.

გაზაფხულის ეშხით გვაწონებს თავს სააკაძის ბრძოლების უტყვი მემატიანე, მრავალასწლოვანი ბერმუხა ნოსტეს მახლობლად. დგას ზვიადად, ამაყად, უმზერს ქსანის ხეობის მთებს, საიდანაც ლეკეთს გაიტაცეს ქართლის ჭირის მოზიარე დიდი პოეტი დავით გურამიშვილი. ბერმუხაც ხედავს, როგორ ჰყვავიან შემოგარენი გაზაფხულის ტკბილი სტუმრობით ჩვენს სამშობლოში.

ბუნების გამოცოცხლებას მინდვრის სამუშაოთა გაჩაღება მოჰყვა. ნამდვილი გაზაფხული კი სწორედ ახლა დაიწყო. მკრეფავებს ელოდებიან ჩაის ბუჩქები, ტრაქტორებს — მინდვრები, მევენახემეყვავილე-მეხილეებს — ზვრები, ბაღები და ხეხილი. ყველას ეძახის შესაფერისი სამუშაო. და ისევე, როგორც ფუტკარს არ ავიწყდება ყვავილი, წამითაც ვერ დაივიწყებს გამრჯე ადამიანი თავის სამოქმედო უბანს.

გაზაფხულია, ჩემი მამულის მშვენიერი გაზაფხული. პირველი მაისი ნატვრისთვალია, გაზაფხულის ლამაზ გვირგვინში ჩასმული. დაე რამდენ ყვავილსაც დღეს ბავშვები ხელში აიღებენ, იმდენ ტკბილ გაზაფხულს მოსწრებოდეს ყველა, ვისაც უყვარს ჩვენი ლამაზი სამშობლო და ვისაც გულით სწყურია მშვიდობისმოყვარე ერის სამსახური.

**ვარლამ ჟურული.**

# ზეიმის დღეებში

### თეატრები

1 მაისი

[illegible]

ვაბონ. მე-10 სპექტაკლი), **რუსთაველის სახელობის** — როვევა (დღისით, მე-3 აბონ. მე-6 სპექტაკლი, საღამოს, 26-ე აბონ. მე-6 სპექტაკლი), **მარჯანიშვილის სახელობის** — ბუღარა (დღისით, 25-ე აბონ. მე-6 სპექტაკლი, საღამოს, მე-8 აბონ. მე-5 სპექტაკლი), **გრიბოედოვის სახელობის** — ეზოში ავი ძაღლია (დღისით და საღამოს აბონემე-[illegible]

### ტელევიზია

1 მაისი

[illegible]

18.05 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „ბორის შჩუკინი", 19.05 — „სამაისო", 19.30 — კინოჟურნალი „ახალი ამბები" № 14, 19.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 20.00 — კინოჟურნალი „უცხოეთის კინოქრონიკა", № 5, 20.10 — საზეიმო კონცერტი, 21.10 — მხატვრული ფილმი „მამისეული სახლი". ფილმის შემდეგ — ახალი ამბები.

2 მაისი

12.00 — ყველაზე პატარებისათვის — „ნაცნობი მელოდიები", 12.25 — მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ფილმი „თოჯინების სამყაროში", 12.45 — მხატვრული ფილმი „კუნძული გლამადონი", 18.00 — „დღეს ჩვენს პროგრამაშია", 18.05 — ყველაზე პატარებისათვის — „ცეროდენას ეკრანი", 18.25 — მოკლემეტრაჟიანი ფილმი „დიმიტრი ფურმანოვი", 18.55 — სატელევიზიო ჟურნალი „ახალგაზრდული საქმეები", 19.40 — კინონარკვევი „ჩვენს მწვრთნელს", 20.00 — საესტრადო კონცერტი — „მხიარული განწყობილება", 21.10 — მხატვრული ფილმი „უმისამართო ქალიშვილი".

1 და 2 მაისი

### კინო

**რუსთაველის სახელობის, ამირანი** (საზამთრო და საზაფხულო), **ისანი** (საზამთრო), **საქართველო** (წითელი დარბაზი), **კოლხიდა** (საზამთრო), **პლეხანოვის სახელობის კულტურის სახლი, ჭავჭავაძის სახელობის კულტურის სახლი, ყაზბეგი** (პირველი დარბაზი), **გაზაფხული** — დიდი გზა, **ოქტომბერი, ფილარმონიის ბაღი. სპარტაკი, თბილისი, საქართველო** (მწვანე დარბაზი), **კოსმოსი, ნაკადული** — ცეროდენა რაინდები, **ისანი** (საზაფხულო) — მესამე ტაიმი.

### რადიო

2 მაისი

**პირველი პროგრამით**

06.40 — ქართული ხალხური სიმღერები, 08.25 — „ნაცნობი მელოდიები", 09.20 — კონცერტი — „ჩემი ქვეყნის გაზაფხული", 16.15 — კონცერტი მოსწავლეთათვის, 10.45 — გრ. კილაძე. ქართული სიუიტა, 11.30 — ქართული ხალხური მუსიკის კონცერტი, 12.15 — ჩვენი ახალგაზრდა მუსიკოს-შემსრულებლები, 14.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის. რადიოდადგმა „მეღორის ბედი", 15.00 — ქართული პოპულარული მუსიკის კონცერტი, 15.40 — გიორგი ლეონიძე. „საბჭოთა საქართველოს გაზაფხული", 17.15 — „მღერიან დები იშხნელები", 17.30 — გადაცემა მოსწავლეთათვის. „მაისის დროშები", 18.00 — კონცერტი — „მოგილოცავთ დღესასწაულს", 19.00 — ტრანსლაცია მოსკოვიდან, 20.00 — კომპოზიცია — „თქვენთვის, ძვირფასო ქალებო!", 20.20 — ქართული მსუბუქი მუსიკა, 20.40 — ლავრენევი. „როვევა" (რადიოდადგმა), 23.30 — გასართობი მუსიკა.

3 მაისი

**პირველი პროგრამით**

06.40 — ქართული სიმღერები, 08.25 — პოპულარული კამერული მუსიკის კონცერტი, 09.20 — ს. ცინცაძე. სიმფონია, 11.15 — მუსიკის საათი ახალგაზრდობისათვის, 12.10 — ქართული ხალხური მუსიკა, 13.40 — არენსკი. კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის, 17.15 — ფრაგმენტები სინესალოს ბალეტ „სამპოდან", 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის. ლ. ფრუიძის მოთხრობა „ტყის მცველი ბოლოთოყო და დაკარგული ბილიკი", 18.10 — მეჩონგურე ქალთა ანსამბლის კონცერტი, 18.45 — „მღერის ბენიამინო ჯილი", 19.30 — გადაცემა — „საგზაო მშენებლობა ყურადღების ცენტრში", 20.15 — თინგიზ ამირეჯიბის კონცერტი, 20.30 — რადიოსპექტაკლი „მედეა", 21.40 — ქართული კამერული მუსიკა, 23.30 — გლაზუნოვი. კონცერტი ვიოლინოსა და ორკესტრისათვის.



## ბრძანება თბილისის გარნიზონის ჯარებისადმი

№ 15

1963 წლის 27 აპრილი. ქ. თბილისი.

### 1963 წლის 1 მაისის პარადის შესახებ

§ 1

1963 წლის 1 მაისს, მშრომელთა საერთაშორისო დღესასწაულის დღეს, რუსთაველის პროსპექტზე დილის 10 საათზე დანიშნულია თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი.

პარადს მიიღებს ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის ჯარების სარდალი გენერალ-პოლკოვნიკი **ა. ტ. სტუჩენკო.**

პარადის სარდლობა ნაბრძანები მაქვს მე.

§ 2

ნაწილების მეთაურებმა პარადზე გამოიყვანონ ჯარები დამტკიცებული განრიგების მიხედვით.

რუსთაველის პროსპექტზე ჯარების დაწყობა დამთავრდეს 9 საათსა და 45 წუთზე.

ტანსაცმლის ფორმა საზაფხულო, საპარადოა.

§ 3

თბილისის გარნიზონის კომენდანტმა პოლკოვნიკმა **ი. ტ. გაიდაშმა** მოახდინოს საარტილერიო სალუტი ჩემ მიერ მიცემულ მითითებათა თანახმად.

§ 4

რუსთაველის პროსპექტზე ჯარების დაწყობისა და გავლის დროს წესრიგის დაცვის საერთო ხელმძღვანელობას ვაკისრებ გარნიზონის კომენდანტს პოლკოვნიკ **ი. ტ. გაიდაშს.**

**თბილისის გარნიზონის უფროსი სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტი**

**ლუგოვცევი**



## თბილისში 1963 წლის 1 მაისს მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაციის შესახებ

**მშრომელთა** საერთაშორისო დღესასწაულის დღეს—1963 წლის 1 მაისს რუსთაველის პროსპექტზე გაიმართება ქალაქ თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია.

დემონსტრაცია დაიწყება 11 საათზე.

მშრომელთა წარმომადგენლები, რომლებიც დემონსტრაციაში მონაწილეობენ, იკრიბებიან თავიანთ შესაკრებ პუნქტებზე საწარმოებსა და დაწესებულებებში და ორგანიზებულად, რაიონულ კოლონებად მიდიან რუსთაველის პროსპექტზე დაწესებული მარშრუტებით.

რუსთაველის პროსპექტზე იმ პირების გაშვება, რომლებიც მოსაწვევი ბილეთებით მოდიან, წყდება დილის 9 საათსა და 45 წუთზე.

ყველა სახის ტრანსპორტის მოძრაობა, გარდა სპეციალურ საშვებიანი ავტომანქანებისა, ცენტრალური მოედნების რაიონში შეწყდება დილის 7 საათსა და 30 წუთზე და განახლდება დემონსტრაციის დამთავრების შემდეგ.

## კომუნისტი სპორტი

# ტ. პეტროსიანი კვლავ დაწინაურდა

**როგორც** ვიუწყებოდით ჭადრაკში მსოფლიოს პირველობაზე მ. ბოტვინიკისა და ტ. პეტროსიანის მატჩის მეთხუთმეტე პარტია გადაიდო ბოტვინიკისათვის უარეს მდგომარეობაში.

გუშინ სსრ კავშირის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში მოეწყო პარტიის დამთავრება. პრეტენდენტი წარმატებით იბრძოდა და 58-ე სვლაზე აიძულა მეტოქე დანებებულიყო.

აი როგორ მიმდინარეობდა პარტიის დაბოლოება:

41... მფg7, 42. ეa6 ეb7, 43. ეa8 მფf6, 44. ეc8 მe5, 45. მფe3 მd7, 46. ეc6+მფf7, 47. e5 მf8, 48. ეf6+მფg7, 49. მფe4 b5, 50. ეc6 მფf7, 51. ე:c5 მe6, 52. ეd5 მფe7, 53. კe3 ეb8, 54. ეd6 b4, 55. ეa6 ეb5, 56. ეa7+მფe8, 57. f4 მფf8, 58. f5 და შავები დანებდნენ.

ამრიგად, მატჩის ანგარიში გახდა 8:7 ტ. პეტროსიანის სასარგებლოდ.

## გაიმარჯვეს კუბელმა სპორტსმენებმა

**სულ** უფრო მატულობს გამარჯვებათა რიცხვი, რასაც თავისუფლების კუნძულის სპორტსმენები აღწევენ სან-პაულოს (ბრაზილია) პანამერიკულ ასპარეზობაში. 100 მეტრზე ფინალურ გარბენში ყველას გაუსწრო ფეხმარდმა კუბელმა, რომის ოლიმპიადის ფინალისტმა **ენრიკე ფიგუეროლამ.** მან საუკეთესო წარმატება მოიპოვა — 10,3 წამი. მხოლოდ მესამე ადგილი დაიკავა ცნობილმა ამერიკელმა სპრინტერმა აირა მერჩისონმა — 10,5 წამი.

ქალთა შორის ამ დისტანციაზე კუბის წარმომადგენელმა **მიგუელინა კობიანმა** ვერცხლის მედალი მოიპოვა. მისი დროა 11,5 წამი. ასეთივე შედეგი აქვს აგრეთვე ამერიკელ ედიტ მაკგუაირს.

## მოსკოვის „დინამო"—ლიდერი

**გუშინ** მოსკოვში ადგილობრივი „დინამოსა" და ტაშკენტის „პახტაკორის" ფეხბურთელთა მატჩით დაიწყო საკავშირო ჩემპიონატის მეშვიდე ტური „ა" კლასის პირველი ქვეჯგუფის გუნდებისათვის. დინამოელები ამჯერადაც წარმატებით იბრძოდნენ და გამარჯვებაც მათ ხვდათ ანგარიშით 2:0.

**ამ ორმა ქულამ მოსკოვის „დინამოს" საშუალება მისცა ლიდერი გამხდარიყო.**

მორიგი შეხვედრები გაიმართება 2 მაისს. **მოსკოვში** ერთმანეთს შეხვდებიან დედაქალაქის გუნდები „სპარტაკი" და „ტორპედო", **მინსკში** — ლენინგრადისა და მინსკის „დინამოს" ფეხბურთელები, **ქუთაისში** — ადგილობრივი „ტორპედო" და დონეცკის „შახტიორი", **კიშინიოვში** — „მოლდოვა" და „ნეფტიანიკი, **ერევანში** — „არარატი" და „ავანგარდი", **ლენინგრადში** — „ზენიტი" და კიევის „დინამო", **კუიბიშევში** — „კრილია სოვეტოვი" და „კაირატი", **დონის როსტოვში** — არმიის სასპორტო კლუბისა და თბილისის „დინამოს" გუნდები.

## „სლავია"—ფინალში

**სოფიაში** გაიმართა სოფიის „სლავიასა" და რიგის ტრამვაი-ტროლეიბუსის ტრესტის კალათბურთელ ქალთა მეორე ნახევარფინალური შეხვედრა ევროპის ჩემპიონთა თასზე. გაიმარჯვეს ბულგარელმა სპორტსმენებმა ანგარიშით 43:34 (28:18) და ფინალში გავიდნენ.

„კომუნისტის" შემდეგი ნომერი გამოვა 4 მაისს.

რედაქტორი
**დ. მჭედლიშვილი.**

კომუნისტი — Комунисти ИНДЕКС 66443

თბილისი, ლენინის 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 3-08-67, პ/მგ მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 3-46-10 განყოფილებებისა: პარტიული, მრეწველობის, — 9-87-61, მარქსისტულ-ლენინური თეორიის პროპაგანდის — 3-22-89, სოფლის მეურნეობის — 3-32-46, საბჭოთა მშენებლობის, მეცნიერების, უმაღლესი სასწ. და სკოლების — 3-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების, ინფორმაციის — 3-16-90, წერილების — 9-73-24, საილუსტრაციო — 3-20-43, განცხადებების — 9-94-42.

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

უე 05923

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", ლენინის ქ. № 14.